

საქართველოში ძალაშია 2000 წლის 26 აპრილიდან

საქართველო შეუერთდა საქართველოს პარლამენტის
2000 წლის 23 თებერვლის N 152 დადგენილებით

1961 წლის ერთიანი კონვენცია ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ

1972 წლის ოქმის მიხედვით შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით სიებით, დასკვნითი აქტებით და რეზოლუციებით; ტექსტები დამტკიცებულია 1961 წლის “ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ ერთიანი კონვენციის” მიღების და 1972 წლის “1961 წლის ერთიანი კონვენციაში ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ” შესატანი ცვლილებების განხილვის მიზნით გაეროს კონფერენციების მიერ

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
ნიუ-იორკი
1977

შინაარსი

1. გაეროს კონფერენცია ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ ერთიანი კონვენციის მიღების მიზნით
დასკვნითი აქტი
რეზოლუციები
2. გაეროს კონფერენცია “1961 წლის ერთიანი კონვენციაში ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ” შესატანი ცვლილებების განხილვის მიზნით
დასკვნითი აქტი
რეზოლუციები
3. 1961 წლის ერთიანი კონვენცია ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ,
1972 წლის ოქმის მიხედვით შეტანილი ცვლილებების
გათვალისწინებით
4. სიები

ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ ერთიანი კონვენციის მიღების მიზნით გაეროს კონფერენციის დასკვნითი აქტი

1. გაეროს წესდების 62-ე მუხლის მე-4 პუნქტის და გენერალური ასამბლეის 1949 წლის 3 დეკემბრის 366 (IV) რეზოლუციის თანახმად, გაეროს ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ, 1958 წლის 28 ივლისის 689 J(XXVI) რეზოლუციით მიიღო გადაწყვეტილება მოეწვია სრულყოფილიანი კონფერენცია ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ ერთიანი კონვენციის

მიღების მიზნით. ეს ერთიანი დოკუმენტი ცვლის ამ დარგში არსებულ მრავალმხრივ ხელშეკრულებებს, კვეცავს მათში მონაწილე საერთაშორისო ორგანიზაციების რიცხვს, რომლებიც ახორციელებენ მხოლოდ და მხოლოდ კონტროლს ნარკოტიკულ საშუალებებზე, აგრეთვე აწესებს კონტროლს ნარკოტიკული ნედლეულის წარმოებაზე.

2. გაეროს კონფერენცია ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ ერთიანი კონვენციის მიღების მიზნით გაიმართა გაეროს ცენტრალურ სამმართველოებში 1961 წლის 24 იანვრიდან 25 მარტამდე.

3. კონფერენციას ესწრებოდნენ შემდეგი 73 სახელმწიფოს წარმომადგენლები:

ავსტრალია	იორდანია	პაკისტანი
ალბანეთი	ერაყი	პანამა
არგენტინა	ირანი	პარაგვაი
ავღანეთი	ესპანეთი	პერუ
ბელორუსიის საბჭოთა	იტალია	პოლონეთი
სოციალისტური რესპუბლიკა	კამბოჯა	პორტუგალია
ბირმა	კანადა	რუმინეთი
ბულგარეთი	ჩინეთი	სალვადორი
ბულგარეთი	კონგო (ლეოპოლდვილი)	სენეგალი
ბოლივია	კორეის რესპუბლიკა	დიდი ბრიტანეთისა
და		
ბრაზილია	კოსტა-რიკა	ჩრდილოეთ
ირლანდიის		
ვატიკანი	ლიბერია	გაერთიანებული
სამეფო		
უნგრეთი	ლიბანი	ამერიკის
შეერთებული		
ვენესუელა	მადაგასკარი	შტატები
ჰაიტი	მარკო	საბჭოთა
სოციალისტური		
განა	მექსიკა	რესპუბლიკების
კავშირი		
გვატემალა	მონაკო	ტაილანდი
საბერძნეთი	ნიგერია	ტუნისი
დაგომეა	ნიდერლანდები	თურქეთი
დანია	ნიკარაგუა	უკრაინის
საბჭოთა		
დომინიკის რესპუბლიკა	ახალი ზელანდია	სოციალისტური
რესპუბლიკა		
ისრაელი	ნორვეგია	ურუგვაი
ინდოეთი	საფრანგეთი	შვეიცარია
ინდონეზია	ჩადი	შვედეთი
გერმანიის ფედერაციული	ჩეხოსლოვაკია	იუგოსლავია

რესპუბლიკა
ფილიპინები
ფინეთი

ჩილი
არაბეთის
გაერთიანებული
რესპუბლიკა

იაპონია

4. კონფერენციას დამკვირვებლის სახით ესწრებოდა შემდეგი სახელმწიფოს წარმომადგენელი: ცეილონი

5. კონფერენციას ესწრებოდნენ შემდეგი სპეციალიზირებული ორგანიზაციების წარმომადგენლები:

- გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია;
- მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია;
- სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;
- შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია.

6. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო შემდეგი საერთაშორისო ორგანოები:

- ოპიუმის მუდმივმოქმედი ცენტრალური კომიტეტი;
- ნარკოტიკულ საშუალებათა მაკონტროლებელი ორგანო.

7. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყვნენ შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციები:

- კათოლიკური საქველმოქმედო დაწესებულებების საერთაშორისო კონფერენცია;
- სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია;
- იურისტი ქალების საერთაშორისო ფედერაცია.

8. კონფერენციის მიწვევით კერძო პირის სახით ესწრებოდა არაბეთის სახელმწიფოების ლიგის ნარკოტიკულ საშუალებებზე კონტროლის მუდმივმოქმედი ბიუროს დირექტორი, გენერალი საფვატი.

9. ეკონომიკური და სოციალური საბჭოს პირველ პუნქტში ხსენებული რეზოლუციის მიხედვით დამკვირვებლები და ზემოჩამოთვლილი ორგანიზაციების წარმომადგენლები კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ ხმის უფლების გარეშე.

10. კონფერენციამ თავმჯდომარედ აირჩია ბ-ნი კარლ სურმანი (ნიდერნალდები), ხოლო თანაშემწეებად შემდეგი ქვეყნების წარმომადგენლები:

11. აღმასრულებელ მდივნად არჩეულ იქნა ბ-ნი ჯ. აიტესი, მისი თანაშემწედ ბ-ნი ადოლფ ლანდე.

12. ეკონომიკური და სოციალური საბჭოს რეზოლუციის თანახმად კონფერენციას განსახილველად წარედგინა ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ კომისიის საბჭოს მიერ მომზადებული კონვენციის მესამე პროექტი და მასში შესატანი ცვლილებების ნუსხა, აგრეთვე სხვა დოკუმენტაცია შედგენილი სამდივნოს მიერ.

13. კონფერენციამ შექმნა შემდეგი კომიტეტები:

გენერალური კომიტეტი

თავმჯდომარე: კონფერენციის თავმჯდომარე;

სპეციალური კომიტეტი მესამე პრექტის მე-2 და მე-3 მუხლების განხილვის მიზნით (კონვენციის ჩარჩოები და სხვა ნივთიერებებზე მისი გავრცელების წესები)

თავმჯდომარე: ბ-ნი ა. თაბიბი (ავღანეთი)

სპეციალური კომიტეტი 25-ე, 30-ე და 40-43 მუხლების განხილვის მიზნით (სახელმწიფო კონტროლი, საერთო დადგენილებები)

თავმჯდომარე: ბ-ნი ბ. ბანერჯი (ინდოეთი);

სპეციალური კომიტეტი 31-34 მუხლების განხილვის მიზნით (სახელმწიფო კონტროლი ოპიუმის ხაშხაშზე და ხაშხაშის ნამჯაზე)

თავმჯდომარე: ბ-ნი ლ. იგნასიო –პინტო (დაგომეი)

სპეციალური კომიტეტი 35-38 მუხლების განხილვის მიზნით (სახელმწიფო კონტროლი კოკას ფოთლებზე)

თავმჯდომარე: ბ-ნი ჩიკრაიში (იაპონია)

სპეციალური კომიტეტი 39-ე მუხლის განხილვის მიზნით (სახელმწიფო კონტროლი კანაბისზე)

თავმჯდომარე: ბ-ნი გრინბერგი (ბულგარეთი)

სპეციალური კომიტეტი 26-ე, 27-29, 20-21, მე-4 მუხლების განხილვის მიზნით (მთავრობების მიერ მოწოდებული მონაცემები, სტატისტიკური მონაცემების და დათვლის სისტემები, მთავრობების საერთო ვალდებულებები)

თავმჯდომარე: ბ-ნი ე. როდრიგეს-ფაბრეგატი (ურუგვაი),

თავმჯდომარის მოადგილე: ბ-ნი ი. ბერტშინგერი (შვეიცარია)

სპეციალური კომიტეტი 22-ე მუხლის განხილვის მიზნით (ზომები, რომლებიც კომიტეტმა შეიძლება მიიღოს კონვენციის დებულებების შეუსრულებლობის გამო)

თავმჯდომარე: ბ-ნი ა. გურინოჩოვი (ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა)

სპეციალური კომიტეტი 5-11, 13-19 და 23-ე მუხლების განხილვის მიზნით (საერთაშორისო ორგანოები: შემადგენლობა, ფუნქციები, სამდივნო)

თავმჯდომარე: ბ-ნი გ. ბლომშტედტი (ფინეთი)

სპეციალური კომიტეტი 44-46-ე მუხლების განხილვის მიზნით (უკანონო ბრუნვის მიმართ პირდაპირი ზომები)

თავმჯდომარე: ბ-ნი ა. ბიტენკორტი (ბრაზილია)

ტექნიკური კომიტეტი

თავმჯდომარე: ბ-ნი ა. ჯონსონი (ავსტრია)

თავმჯდომარის მოადგილე: ბ-ნი ა. ისმაელი (დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო)

სარედაქციო კომიტეტი

თავმჯდომარე: ბ-ნი რ. კერანი (კანადა)

თავმჯდომარის მოადგილე: ბ-ნი დ. ნიკოლიჩი (იუგოსლავია)

უფლებამოსილების კონტროლის კომიტეტი

თავმჯდომარე: ბ-ნი ხ. ორტიზი (კოსტა-რიკა)

14. კამათის შედეგად, რომელიც დაფიქსირებულ იქნა პლენარული სხდომების მოკლე ანგარიშებში, კომიტეტების მოხსენებებსა და მოკლე ანგარიშებში, კონფერენციამ მიიღო ¹ და ხელმოსაწერად გახსნა ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ 1951 წლის ერთიანი კონვენცია. გარდა ამისა კონფერენციამ მიიღო ხუთი რეზოლუცია, რომლებიც თან ერთვის ამ დასკვნით აქტს, რის დასადასტურებლადაც წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე დასკვნით აქტს.

შესრულებულია ნიუ-იორკში 1961 წლის 30 მარტს ერთ ეგზემპლარად: ინგლისურ, ესპანურ, ჩინურ, რუსულ და ფრანგულ ენებზე, რომელთა ტექსტებიც ერთნაირად აუთენტურია. ტექსტის ორიგინალი გადაეცემა შესანახად გაეროს გენერალურ მდივანს.

¹ კონფერენციამ აღნიშნა, რომ კონვენცია დამტკიცდა გენერალური ასამბლეის შესაბამისი რეზოლუციებში არსებული დადგენილებებისა და განცხადებების გათვალისწინებით.

ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ ერთიანი კონვენციის მიღების მიზნით გაეროს კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლუციები

რეზოლუცია I ტექნიკური დახმარება ნარკოტიკულ საშუალებებზე კონტროლის მიზნით

კონფერენცია:

მიესალმება რა გენერალური ასამბლეის 1395 (XIV) რეზოლუციის თანახმად ტექნიკური დახმარების გზით სპეციალური ღონისძიებების ჩატარებას ნარკოტიკულ საშუალებებზე კონტროლის საქმეში,

შენიშნავს რა, რომ გაერო და დაინტერესებული სპეციალიზირებული სააგენტოები შეზღუდული რაოდენობით უკვე უწევენ დახმარებას ტექნიკური დახმარების გაფართოებული პროგრამის და თავიანთი ჩვეულებრივი პროგრამების ფარგლებში,

მიესალმება რა, აგრეთვე ტექნიკური დახმარების პროექტების განხორციელებაში სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომლობას,

იმედს გამოთქვამს, რომ საკმარისი საშუალებები იქნება გამოყოფილი უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში დახმარების აღმოჩენის მიზნით იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც ამას მოისურვებენ და მოითხოვენ, კერძოდ ექსპერტ-კონსულტანტების და სასწავლო კურსების, მათ შორის სახელმწიფო თანამდებობის პირთა მოსამზადებელი კურსების სახით.

რეზოლუცია II ნარკომანების მკურნალობა

კონფერენცია,
იხსენებს რა კონვენციის 38-ე მუხლის დადგენილებებს ნარკომანების მკურნალობასა და რეაბილიტაციის შესახებ:

1. აცხადებს, რომ ნარკომანების მკურნალობის ერთ-ერთ ყველაზე ექმედით მეთოდს წარმოადგენს მკურნალობა სტაციონარებში, სადაც ხელმიუწვდომელია ნარკოტიკული საშუალებები;

2. დაბეჯითებით მოითხოვს მხარეებისგან, რომელთათვისაც ნარკომანია წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას და რომლებსაც აქვთ ეკონომიკური საშუალებები, უზრუნველყონ ასეთი დახმარების აღმოჩენა.

რეზოლუცია III **უკანონო ბრუნვაში მონაწილე პირები**

კონფერენცია,

1. ყურადღებას აქცევს რა უკანონო ბრუნვაში მონაწილე პირებზე ტექნიკური ჩანაწერების მნიშვნელობას, რომლებსაც ამჟამად ფლობს სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია.

2. იძლევა რეკომენდაციას, რომ ეს ჩანაწერები ივსებოდა შესაძლებლობის მიხედვით ყველა მხარეების მიერ და ფართოდ გამოიყენებოდეს სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ უკანონო ბრუნვაში მონაწილე პირების შესახებ მონაცემების დაგზავნის მიზნით.

რეზოლუცია IV **ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ კომისიის** **წევრთა შემადგენლობა**

კონფერენცია

სთხოვს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს, მის 32-ე სესიაზე განიხილოს ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ კომისიის წევრთა რაოდენობის გაზრდის საკითხი, კონვენციის დებულებები და ამ საკითხებთან დაკავშირებით კონფერენციაზე გამოთქმული შეხედულებების პოზიციიდან

რეზოლუცია V **საერთაშორისო კონტროლის აპარატი**

კონფერენცია

მხედველობაში იღებს გარდამავალი ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობის მნიშვნელობას, რომელიც გათვალისწინებულია ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ 1961 წლის ერთიანი კონვენციის 45-ე მუხლით.

სთხოვს ეკონომიურ და სოციალურ საბჭოს შეისწავლოს იმ ზომების მიღების შესაძლებლობა, რომლებიც უზრუნველყოფენ საერთაშორისო კონტროლის აპარატის გასამარტივებელი ღონისძიებების სწრაფ და შეუფერხებელ გატარებას.

ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ 1961 წლის ერთიან კონვენციაში შესატანი ცვლილებების განხილვის მიზნით გაეროს კონფერენციის დასკვნითი აქტი

1. გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო განიხილავს რა იმ ფაქტს, რომ 1961 წლის ერთიან კონვენციაზე ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ შეთავაზებულ იქნა შესწორებები და ამასთანავე მხედველობაში იღებს ამ კონვენციის 47-ე მუხლს. გაეროს წესდების 62-ე მუხლის მე -4 პუნქტის თანახმად, 1971 წლის 21 მაისის 157 (L) რეზოლუციით ადგენს, მოწვეულ იქნას უფლებამოსილი წარმომადგენლების კონფერენცია, ყველა შესწორების განხილვის მიზნით.

2. გაეროს კონფერენცია ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ 1961 წლის ერთიან კონვენციაში შესატანი შესწორებებს განხილვის მიზნით გაიმართა გაეროს შენობაში, ჟენევაში, 1972 წლის 6-24 მარტს.

3. კონფერენციას ესწრებოდა შემდეგი 97 ქვეყნის წარმომადგენელი:

ავასტრია	იამაიკა	ლაოსი
ავსტრალია	ინდონეზია	საფრანგეთი
ალჟირი	ინდოეთი	ნორვეგია
არგენტინა	იორდანი	ნორვეგია
ავღანეთი	ირანი	სალვადორი
ამერიკის შეერთებული შტატები	ირლანდია	
ახალი ზელანდია	ისრაელი	სენეგალი
ბელორუსიის საბჭოთა	იტალია	მალავი
სოციალისტური რესპუბლიკა	კენია	მონღოლეთი
ბელგია	კანადა	პაკისტანი
ბულგარეთი	კოლუმბია	პანამა
ბოლივია	კვიპროსი	პერუ
ბრაზილია	კორეის რესპუბლიკა	პოლონეთი
	კოსტა-რიკა	პორტუგალია
ბირმა	კუბა	ქმერეთის
ბურუნდი	კუვეიტი	რესპუბლიკა
გაბონი	ლიბია	საუდის
არაბეთი		
გამბია	ლიბანი	სინგაპური
განა	ლიბერია	სიერა-ლეონე
გერმანიის ფედერაციული	ლიბიის არაბთა	სპილოს ძვლის
	რესპუბლიკა	სანაპირო

რესპუბლიკა	ლიხტენშტეინი	საბერძნეთი
გვატემალა	ლუქსემბურგი	ტაილანდი
დაგომეა	მაგადასკარი	ტუნისი
დანია	მარკო	ფინეთი
დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდის საბჭოთა	მექსიკა	თურქეთი
გაერთიანებული სამეფო	მონაკო	უკრაინის
სოციალისტური	ნიგერია	
ეგვიპტე	ნიკარაგუა	რესპუბლიკა
ეკვადორი	ნიგერი	შვეიცარია
ერაყი	ნიდერლანდები	ურუგვაი
ესპანეთი	საბჭოთა სოციალისტური	შვედეთი
ვატიკანი	რესპუბლიკების კავშირი	ჩეხოსლოვაკია
ვენესუელა	სუდანი	ჩილი
ვიეტნამი	ტოგო	იუგოსლავია
ზაირი	ცეილონი	იაპონია
უნგრეთი		ფილიპინები
ჰაიტი		სამხრეთ აფრიკა

4. კონფერენციას დამკვირვებლის სტატუსით ესწრებოდნენ შემდეგი ქვეყნების წარმომადგენლები:

- დომინიკანის რესპუბლიკა
- კამერუნი
- მალაიზია
- მალტა
- რუმინეთი

5. გაეროს ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ 157 (L) რეზოლუციით გენერალურ მდივანს სთხოვა მოეწვია კონფერენციაზე მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია და სხვა დაინტერესებული სპეციალიზირებული სააგენტოები, ნარკოტიკულ საშუალებებზე კონტროლის საერთაშორისო კომიტეტი და სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის, ნარკოტიკულ საშუალებებზე კონტროლის საერთაშორისო კომიტეტის და სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ კონფერენციას.

6. კონფერენციამ აირჩია: თავმჯდომარე – ბ-ნი კ.ბ. ასანტე (განა), პირველი მოადგილე – ბ-ნი დ. ნიკოლიჩა (იუგოსლავია) და სხვა მოადგილეები – შემდეგი ქვეყნების წარმომადგენლები:

- არგენტინა
- დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის
- ეგვიპტე
- გაერთიანებული სამეფოები

ინდოეთი	ამერიკის შეერთებული შტატები
ლიბანი	საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების
მექსიკა	კავშირი
საფრანგეთი	თურქეთი

7. ბ-ნი ვ. უინსპეი-გუჩიარდი, გაეროს გენერალური დირექტორი ჟენევაში, წარმოადგენდა გაეროს გენერალურ სამდივნოს. კონფერენციის აღმასრულებელი მდივანი – დოქ. ვ. კუმევიჩი, კონფერენციის იურისკონსული – ბ-ნი გ. ვოთელზი და აღმასრულებელი მდივნის მოადგილე და იურისკონსულის მოადგილე – ბ-ნი პ. რეტონი.

8. კონფერენციამ განიხილა ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ 1961 წლის კონვენციის შესწორებები, რომელიც კონფერენციის წევრი-სახელმწიფოების მიერ იყო შეთავაზებული.

9. კონფერენციამ შექმნა შემდეგი კომიტეტები:

გენერალური კომიტეტი

თავმჯდომარე: კონფერენციის თავმჯდომარე

კომიტეტი I

თავმჯდომარე: დ-რი რ. ჩემპენი (კანადა)

კომიტეტი II

თავმჯდომარე: დ-რი ბელა ბიოლიჩი (უნგრეთი)

სარედაქციო კომიტეტი

თავმჯდომარე: ბ-ნი ჟ. ბერტშინგერი (შვეიცარია)

უფლებამოსილებაზე კონტროლის კომიტეტი

თავმჯდომარე: ბ-ნი ჯ. ლენონი (ირლანდია)

10. I კომიტეტმა მე –14 მუხლის თანახმად შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ა. ქირჩა (თურქეთი)

11. კამათის შედეგად, რომელიც დაფიქსირებულია პლენარული სხდომების და I და II კომიტეტების მოკლე ანგარიშებში, კონფერენციამ მიიღო და გახსნა ხელის მოსაწერად ოქმი ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ 1961 წლის კონვენციის შესწორებები შეტანის შესახებ.

ამასთანავე კონფერენციამ მიიღო სამი რეზოლუცია, რომელიც თან ერთვის ამ დასკვნით აქტს.

შესრულებულია ჟენევაში, 1972 წლის 25 მარტს ერთ ეგზემპლარად, რომლის ინგლისური, ფრანგული, რუსული და ესპანური ტექსტები თანაბრად აუთენტურობია. ტექსტის ორიგინალი შესანახად გადაეცა გაეროს გენერალურ მდივანს.

რის დასადასტურებლადაც წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ამ დასკვნით აქტს.

**ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ 1961 წლის ერთიან
კონვენციაში შესატანი ცვლილებების განხილვის მიზნით
გაეროს კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლუციები**

რეზოლუცია I

ნარკოტიკულ საშუალებებზე კონტროლის საერთაშორისო
კომიტეტის სამდივნო

კონფერენცია,

თვლის, რომ ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ 1967 წლის
16 მაისის (1464-ე პლენარული სხდომის) 1196 (XLII) რეზოლუციით
მიღებული ზომები აკმაყოფილებს ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ 1961
წლის ერთიანი კონვენციის და ძალაში მყოფი უფრო ადრე არსებული
კონვენციების მხარე-ქვეყნების სურვილებს.

რეკომენდაციას უწევს, გაეროს გენერალური მდივნის მიერ
შედგენილი სისტემის შენარჩუნებას, რომლის ძირითად დებულებებს
წარმოადგენს:

1. ნარკოტიკულ საშუალებებზე კონტროლის საერთაშორისო
კომიტეტს (შემდგომში კომიტეტად წოდებული) აქვს სამდივნო, რომელიც
ფუნქციებით განსხვავებულია ნარკოტიკულ საშუალებათა განყოფილების
სამდივნოსაგან..

2. ეს სამდივნო წარმოადგენს გაეროს სამდივნოს შემადგენელ
ნაწილს, რომელიც მთლიანად იმყოფება გენერალური მდივნის
ადმინისტრაციული კონტროლის ქვეშ, ამასთანავე ის ვალდებულია
შეასრულოს კომიტეტის დადგენილებები.

3. სამდივნოს წევრები ინიშნებიან გენერალური მდივნის მიერ;
სამდივნოს უფროსი ინიშნება კომიტეტთან ჩატარებული კონსულტაციების
შედეგად.

რეზოლუცია II

დახმარება ნარკოტიკებზე კონტროლის საქმეში

კონფერენცია

იხსნებს რა, რომ განვითარებადი ქვეპუნქტების დახმარება არის
საერთაშორისო გაერთიანების მისწრაფების კონკრეტული გამოხატულება,
გაეროს წესდებით დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლად
ყველა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ხელშეწყობით;

იხსენებს რა, გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1395 (XIV)
რეზოლუციით მიღებულ სპეციალურ გადაწყვეტილებებს ნარკოტიკული

საშუალებების ბოროტად გამოყენების საქმეში;

ესალმება რა, გაეროს გენერალური ასამბლეის 2719 (XXV) რეზოლუციის თანახმად ნარკოტიკულ საშუალებათა ბოროტად გამოყენებასთან ბრძოლის გაეროს ფონდის შექმნას.

აღნიშნავს რა, რომ კონფერენციამ მიიღო ახალი 14 ბის მუხლი – ტექნიკური და ფინანსური დახმარების შესახებ, 1961 წლის ერთიანი კონვენციის დებულებების ეფექტური შესრულების მიზნით.

1. აცხადებს, რომ ნარკოტიკულ საშუალებათა ბოროტად გამოყენებასთან ბრძოლის ეფექტური ზომების გასაძლიერებლად აუცილებელია მათი კოორდინაცია და უნივერსალობა.

2. აცხადებს, რომ განვითარებადი ქვეყნების მიერ კონვენციით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას ხელი შეეწყობა საერთაშორისო გაერთიანების მხრიდან შესაბამისი ტექნიკური და ფინანსური დახმარებით.

რეზოლუცია III

სოციალური პირობები და ნარკომანიის თავიდან აცილება

კონფერენცია,

იხსენებს რა, რომ ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ 1961 წლის ერთიანი კონვენციის პრეამბულას, სადაც იგი აცხადებს, რომ კონვენციის მხარეები “ზრუნავენ რა კაცობრიობის ჯანმრთელობაზე და კეთილდღეობაზე” და “მიიჩნევენ რა თავიანთ მოვალეობად თავიდან აიცილონ ეს ბოროტება და იბრძოლონ ნარკომანიის წინააღმდეგ”,

ითვალისწინებს, რომ კონფერენციაზე გამართულმა დისკუსიებმა თვალსაჩინო გახადა სურვილი ნარკომანიის თავიდან აცილების მიზნით ეფექტური ნაბიჯების გადადგმისათვის,

ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ მაშინ როდესაც ნარკომანია ხელს უწყობს პიროვნების გახრწნას და სოციალური წონასწორობის დარღვევას, ძალიან ხშირად ხდება, რომ ცალკეული პირები და ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც ცხოვრობენ სავალალო სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში, თავად უწყობენ ხელს ნარკომანიას,

აღიარებენ, რომ სოციალური ფაქტორები გავლენას ახდენენ და ხშირად მეტისმეტად დიდი ზემოქმედება აქვთ ადამიანების ზოგიერთი ჯგუფის ქცევაზე.

რეკომენდაციას უწევს მხარეებს:

1. გაითვალისწინონ ის ფაქტი, რომ ნარკომანია ხშირად არის არაჯანსაღი სოციალური ატმოსფეროს შედეგი, რომელშიც ცხოვრობენ ადამიანები და რომლებიც უფრო ხშირად იმყოფებიან ნარკოტიკულ საშუალებათა ბოროტად გამოყენების საფრთხის წინაშე.

2. მიიღონ ნარკოტიკულ საშუალებების უკანონო გამოყენების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ყველა შესაძლო ზომა.

3. მოახდინონ ახალგაზრდობის დასვენებისა და სხვა საქმიანობის

ორგანიზება მათი ნორმალური, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიზნით.

1961 წლის ერთიანი კონვენცია ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ,
1972 წლის ოქმის მიხედვით შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით

პრეამბულა

მხარეები,

ზრუნავენ რა კაცობრიობის ჯანმრთელობაზე და კეთილდღეობაზე, აღიარებენ რა, რომ ნარკოტიკულ საშუალებათა გამოყენება მედიცინაში კვლავინდებურად აუცილებელია ტკივილისა და ტანჯვის შესამსუბუქებლად და საჭიროა მიღებულ იქნას სათანადო ზომები ამ მიზნით ნარკოტიკულ საშუალებებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად,

აღიარებენ რა, რომ ნარკომანია წარმოადგენს სერიოზულ ბოროტებას ცალკეული პიროვნებებისათვის და კაცობრიობას უქმნის სოციალურ-ეკონომიკურ საფრთხეს,

მიიჩნევენ რა თავიანთ მოვალეობად, თავიდან აიცილონ ეს ბოროტება და იბრძოლონ მის წინააღმდეგ,

ითვალისწინებენ რა, რომ ნარკოტიკულ საშუალებათა ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ეფექტური საშუალებები მოითხოვენ კოორდინირებულ და უნივერსალურ მოქმედებას,

ესმით რა, რომ ასეთი უნივერსალური ზომები მოითხოვონ საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობას, რომელიც ხელმძღვანელობს ერთიდაიმავე პრინციპებით და გააჩნია საერთო

ადასტურებენ რა, გაეროს კომპეტენციას ნარკოტიკულ საშუალებებზე კონტროლის სფეროში და სურვილს გამოთქვამენ, რომ დაინტერესებული საერთაშორისო ორგანოები უნდა მოქმედებდნენ ამ ორგანიზაციის მოქმედების ფარგლებში,

სურთ რა დადონ საყოველთაოდ მიღებული საერთაშორისო კონვენცია, რომელიც შეცვლის ნარკოტიკულ საშუალებებზე არსებულ ხელშეკრულებებს, რომლებიც ზღუდავენ ნარკოტიკების სამეცნიერო და სამედიცინო მიზნებით გამოყენებას; ამ მიზნების მიღწევის თვალსაზრისით უზრუნველყოფენ საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას და კონტროლს,

შეთანხმდნენ ²:

2 სამდივნოს შენიშვნა: ოქმის პრეამბულა “1961 წლის ერთიანი კონვენციაში ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ ცვლილებების შეტანის შესახებ” იკითხება შემდეგნაირად:

“წინამდებარე ოქმის მხარეები,

ითვალისწინებენ რა ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ 1961 წლის კონვენციის დადგენილებებს, რომელიც შესრულებულია ნიუ-იორკში 1961 წლის 30 მარტს (შემდგომში მოხსენიებული როგორც ერთიანი კონვენცია), სურთ რა ერთიან კონვენციაში ცვლილებების შეტანა, შეთანხმდნენ შემდეგზე:”

მუხლი 1 განმარტებანი

1. გარდა ცალკეული შემთხვევებისა, სადაც კონკრეტულად არ არის მითითებული სხვა რამ, ან კონტექსტი არ მოითხოვს საწინააღმდეგოს, ქვემოთ მოცემული ტერმინები გამოიყენება კონვენციის ყველა დადგენილების მიმართ:

ა) “კომიტეტი” ნიშნავს ნარკოტიკებზე კონტროლის საერთაშორისო კომიტეტს.

ბ) “კანაბისი” ნიშნავს მცენარე კანაბისის წვეროს ყვავილებით და ნაყოფით (თესლის და ფოთლების გარდა, თუ წვეროები არა აქვთ დართული), რომლებიდანაც არ არის ამოღებული ფისი, რა სახელწოდებითაც არ უნდა იყოს მოხსენიებული.

გ) “მცენარე კანაბისი” ნიშნავს Cannabis-ის ჯგუფის ნებისმიერ მცენარეს.

დ) “კანაბისის ფისი” ნიშნავს გამოყოფილ ფისს, გაწმენდილს ან გაუწმენდავს, რომელიც მოპოვებულია მცენარე კანაბისიდან.

ე) “კოკაინის ბუჩქი” ნიშნავს ნებისმიერ მცენარეს Erythroxylon-ის ჯგუფიდან.

ვ) “კოკას ფოთოლი” ნიშნავს კოკაინის ბუჩქის ფოთოლს, იმ ფოთლების გარდა, რომლებიდანაც ამოცილია მთელი ეკგონინი, კოკაინი და ნებისმიერი სხვა ეკგონონის ალკალოიდი.

ზ) “კომისია” ნიშნავს საბჭოს ნარკოტიკულ საშუალებათა კონტროლის კომისიას.

თ) “საბჭო” ნიშნავს გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს.

ი) “კულტივაცია” ნიშნავს ოპიუმის შემცველი ხაშხაში, კოკაინის ბუჩქის და მცენარე კანაბისის კულტივაციას.

კ) “ნარკოტიკული საშუალება” ნიშნავს I და II სიებში ჩართულ ნებისმიერ ნივთიერებას – ბუნებრივს თუ სინთეზურს.

ლ) “გენერალური ასამბლეა” ნიშნავს გაეროს გენერალურ ასამბლეას.

მ) “უკანონო ბრუნვა” ნიშნავს ნარკოტიკების კულტივაციას ან გასაღების მიზნით ნებისმიერ ქმედებას წინამდებარე კონვენციის საწინააღმდეგოდ.

ნ) “იმპორტი” და “ექსპორტი” ნიშნავს ნარკოტიკულ საშუალებათა ფიზიკურ გადაადგილებას ერთი სახელმწიფოს ტერიტორიიდან მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ან ერთი ტერიტორიიდან მეორეზე ერთი სახელმწიფოს ფარგლებში.

ო) “დამზადება” ნიშნავს ყველა პროცესს, წარმოების გარდა, რომლის

შედეგადაც შესაძლოა მიღებულ იქნას ნარკოტიკული ნივთიერება, მათ შორის რაფინირებული, ასევე ერთი ნარკოტიკული ნივთიერების გარდაქმნა სხვა ნარკოტიკულ ნივთიერებად.

პ) “სამედიცინო ოპიუმი” ნიშნავს სამედიცინო მოხმარების მიზნით გადამუშავებულ ოპიუმს.

ჟ) “ოპიუმი” ნიშნავს ოპიუმის შემცველი ხაშხაშის შედედებულ წვეწვს.

რ) “ოპიუმის ხაშხაში” ნიშნავს *Papaver somniferum L*-ის ჯგუფის მცენარეებს.

ს) “ხაშხაშის ნამჯა” ნიშნავს მითითებული ოპიუმის ხაშხაშის ყველა ნაწილს (თესლის გარდა).

ტ) “პრეპარატი” ნიშნავს ნარევს, მყარს ან თხევადს, რომელიც შეიცავს რომელიმე ნარკოტიკულ საშუალებას.

უ) “წარმოება” ნიშნავს ოპიუმის, კოკას ფოთლების, კაბანისის ფისის გამოყოფას იმ მცენარეებიდან, რომლებიდანაც ან რომლებიდანაც ისინი მიიღება.

ფ) “სია I”, “სია II” და “სია III” ნიშნავს შესაბამისად დანომრილი ნარკოტიკულ საშუალებათა ან პრეპარატების ჩამონათვლებს, რომლებიც წინამდებარე კონვენციას აქვს დართული დამატებების სახით და იგი დროგამოშვებით ექვემდებარება ცვლილებების შეტანას მე-3 მუხლის თანახმად.

ქ) “გენერალური მდივანი” ნიშნავს გაეროს გენერალურ მდივანს.

ღ) “სპეციალური მარაგი” ნიშნავს ნარკოტიკული საშუალებების რაოდენობას, რომლებიც იმყოფება ქვეყნის ან ტერიტორიის ფარგლებში, ამ ქვეყნის ან ტერიტორიის მთავრობის განკარგულებაში საგანგებო სახელმწიფო მიზნებისათვის. გამოთქმა “განსაკუთრებული მიზნები” გაიგება შესაბამისად.

ყ) “მარაგი” ნიშნავს ნარკოტიკულ საშუალებათა რაოდენობას, რომელიც იმყოფება რომელიმე ქვეყანაში ან ქვეყნის რომელიმე ტერიტორიაზე და განკუთვნილია:

i. ქვეყანაში ან ქვეყნის ტერიტორიაზე სამედიცინო ან სამეცნიერო მიზნებით მოხმარებისათვის;

ii. ქვეყანაში ან ქვეყნის ტერიტორიაზე ნარკოტიკული საშუალებების ან სხვა ნივთიერებების დაზადების მიზნით მოხმარებისათვის;

iii. საექსპორტოდ;

თუმცა არ მოიცავს ნარკოტიკების რაოდენობას, რომელიც განთავსებულია ქვეყანაში ან ქვეყნის ტერიტორიაზე;

iv. თერაპიული და სამეცნიერო ფუნქციების განხორციელების მიზნით საცალო ვაჭრობის აფთიაქების, სხვა შესაბამისი უფლების მქონე საცალო ვაჭრობის ობიექტების, ასევე დაწესებულებების ან კვალიფიცირებული პირების მიერ, რომელთაც გააჩნიათ სათანადო უფლებამოსილება ან

v. “სპეციალური მარაგის” სახით.

შ) “ტერიტორია” ნიშნავს სახელმწიფოს ნებისმიერ ნაწილს, რომელიც

განიხილება როგორც ცალკე ერთეული 31-ე მუხლით გათვალისწინებული იმპორტისა და ექსპორტის ნებართვების სისტემის გამოყენების თვალსაზრისით. ტერმინის ეს განსაზღვრება არ შეეხება 42-ე და 46-ე მუხლებში გამოყენებულ ტერმინს “ტერიტორია.”

2. ამ კონვენციის მიხედვით ნარკოტიკული საშუალება “მოხმარებულად” ითვლება, თუ იგი მიეწოდა პირს ან საწარმოს საცალო განაწილებისათვის, სამედიცინო ან სამეცნიერო მიზნით; ტერმინი “მოხმარება” გაიგება შესაბამისად.

მუხლი 2

ნივთიერებები, რომლებიც უნდა დაექვემდებაროს კონტროლს

1. “სია I”-ში შეტანილი ნარკოტიკული საშუალებები ექვემდებარებიან კონტროლის ყველა ზომას, რომლებიც გამოიყენება ნარკოტიკული საშუალებების მიმართ წინამდებარე კონვენციით, კერძოდ, რომლებიც 4(გ), 19, 20, 21, 29, 30, 31, 32, 33, 34 და 37 მუხლებით არის გათვალისწინებული, გარდა კონტროლის იმ ზომებისა, რომელთა გატარება შეზღუდულია სპეციფიკური ნარკოტიკებისათვის.

2. “სია II”-ში შეტანილი ნარკოტიკული საშუალებები ექვემდებარებიან კონტროლის იგივე ზომებს, როგორც “სია I”-ში შეტანილი ნარკოტიკები, გარდა იმ ზომებისა, რომლებიც დაწესებულია 30-ე მუხლის 2 და 5 პუნქტებით საცალო ვაჭრობასთან დაკავშირებით.

3. პრეპარატები (“სია III”-ში შეტანილების გარდა) ექვემდებარებიან კონტროლის იგივე ზომებს, როგორც ის ნარკოტიკული საშუალებები, რომლებსაც ისინი შეიცავენ, მაგრამ ცალკეული ანგარიშები (მუხლი 19) და სტატისტიკური მონაცემები (მუხლი 20), გარდა მოცემული ნარკოტიკული საშუალებების შესახებ მონაცემებისა არ არის აუცილებელი ასეთი პრეპარატების შემთხვევაში და მაშინ 29-ე მუხლის 2 (გ) პუნქტი და 30-ე მუხლის 1(ბ) ii) პუნქტი შეიძლება არ შეეხოს მათ.

4. პრეპარატები, რომლებიც შეტანილია “სია III”-ში ექვემდებარებიან კონტროლის იგივე ზომებს, როგორც “სია II”-ში შესული პრეპარატები, რომლებიც შეიცავენ ნარკოტიკულ საშუალებებს გარდა 31 მუხლის 1(ბ) და 3-15 პუნქტით გათვალისწინებული ნარკოტიკებისა. ხოლო რაც შეეხება მათ შემენას და საცალო გავრცელებას, 34-ე მუხლის (ბ) პუნქტი არ ვრცელდება მათზე. იმ პრეპარატებზე კი, რომლებზეც ანგარიშებისა (მუხლი 19) და სტატისტიკური მონაცემებისათვის (მუხლი 20) მოითხოვება ინფორმაცია, შეზღუდულ იქნებიან იმ ნარკოტიკულ საშუალებათა რაოდენობით, რომლებიც გამოიყენება ასეთი პრეპარატების დამზადებისას.

5. ნარკოტიკული საშუალებები, რომლებიც შეტანილია “სია IV”-ში, შედიან ასევე “სია I”-ში და ექვემდებარებიან კონტროლის ყველა ზომას, რომელიც ამ უკანასკნელი სიის მიმართ გამოიყენება, გარდა ამისა:

ა) ყოველი მხარე ღებულობს კონტროლის იმ განსაკუთრებულ ზომებს, რომლებიც მისი აზრით აუცილებელია ამგვარად მასში შესული

ნარკოტიკული საშუალებების განსაკუთრებით სახიფათო თვისებების გათვალისწინებით;

ბ) ყოველი მხარე, თუ ის თვლის, რომ მის ქვეყანაში ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დაცვისათვის ეს საუკეთესო გზაა, კრძალავს ნებისმიერი ასეთი ნარკოტიკული საშუალების წარმოებას, დამზადებას, ექსპორტს და იმპორტს, მის შენახვას, ვაჭრობას და გამოყენებას, იმ რაოდენობების გარდა, რომელიც აუცილებელია სამედიცინო და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისათვის, იმ კლინიკური ცდების ჩათვლით, რომლებიც ამ მხარის უშუალო მეთვალყურეებისა და კონტროლის ქვეშ ხორციელდება ან ექვემდებარება ასეთ უშუალო მეთვალყურეობასა და კონტროლს.

6. დამატებით კონტროლის იმ ზომებზე, რომლებიც “სია I”-ში შემავალი ყველა ნარკოტიკული საშუალების მიმართ არის გათვალისწინებული, ოპიუმს შეეხება მე-19 მუხლის 1(ვ) და 21 ბის, 23 და 24 მუხლები; კოკას ფოთლებს – შეეხება მუხლები 26 და 27 და კანაბისს – მუხლი 28.

7. ოპიუმის ხაშხაში, კოკაინის ბუჩქი, მცენარე კანაბისი, ხაშხაშის ნამჯა და კანაბისის ფოთლები ექვემდებარებიან მე-19 მუხლის 1 პუნქტის (ე) ქვეპუნქტის, მე-20 მუხლის 1 პუნქტის (ზ) ქვეპუნქტი, 21 ბის და 22-24, 22-26 და 27 მუხლები; შესაბამისად 22-28 მუხლები და 25-ე და 28-ე მუხლებში გათვალისწინებულ კონტროლის ზომებს.

8. მხარეები აკეთებენ ყველაფერს, რათა იმ ნივთიერებების მიმართ, რომლებიც არ ექვემდებარებიან წინამდებარე კონვენციის მოქმედებას, მაგრამ გამოიყენება ნარკოტიკების უკანონოდ დასამზადებლად, გამოიყენონ მეთვალყურეობის ყველა შესაძლებელი ზომა.

9. მხარეები არ არიან ვალდებული გამოიყენონ წინამდებარე კონვენციის დადგენილებები იმ ნარკოტიკული ნივთიერებების მიმართ, რომლებიც გამოიყენება მრეწველობაში არასამედიცინო ან არასამეცნიერო მიზნებით იმ პირობებით თუ:

ა) ისინი უზრუნველყოფენ დენატურაციით ან სხვა რაიმე მეთოდით, რომ ამგვარად გამოყენებულმა ნარკოტიკულმა საშუალებებმა არ იქონიონ რაიმე მავნე შედეგები, შეუძლებელი გახადონ მათი ბოროტად გამოყენება (მუხლი 3, პუნქტი 3) და ასევე პრაქტიკულად შეუძლებელი გახდეს მავნე ნივთიერებების გამოყოფა;

ბ) მათ შეაქვთ ამ გზით გამოყენებული ყველა ნარკოტიკის რაოდენობა წარმოდგენილ სტატისტიკურ მონაცემებში (მუხლი 20).

მუხლი 3

ცვლილებები კონტროლის სფეროში

1. იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე მხარე ან მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია ფლობს ინფორმაციას, რომელიც მათი აზრით რომელიმე სიაში ცვლილებების შეტანას მოითხოვს, ისინი ამ შემთხვევაში აცნობებენ გენერალურ მდივანს და აწვდიან მას ამ ინფორმაციას

შეტყობინების დასადასტურებლად.

2. გენერალური მდივანი ისეთ შეტყობინებას და ნებისმიერ ინფორმაციას, რომელსაც იგი საჭიროდ ჩათვლის გადასცემს მხარეებს, კომისიას; თუ შეტყობინება რომელიმე მხარისაგან ხდება, მაშინ – მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას.

3. თუ შეტყობინება ეხება რაიმე ნივთიერებას, რომელიც ჯერ არ არის შეტანილი “სია I” ან “სია II”-ში,

i. მხარეები არსებული ინფორმაციის საფუძველზე განიხილავენ შესაძლებლობას დროებით გამოიყენონ მოცემული ნივთიერების მიმართ კონტროლის ყველა ის ზომა, რომელიც გამოიყენება “სია I”-ში შეტანილი ნარკოტიკების მიმართ;

ii. გადაწყვეტილების მიღებამდე, როგორც ეს გათვალისწინებულია ამავე პუნქტის (iii) ქვეპუნქტში, კომისიას შეუძლია დაადგინოს, რომ მხარეებმა დროებით უნდა გამოიყენონ კონტროლის ყველა ზომა, რომელიც გამოიყენება “სია I”-ში შეტანილი ნარკოტიკული საშუალებების მიმართ. მხარეები დროებით იყენებენ ამ ზომებს იმ ნივთიერებების მიმართ, რომელზედაც არის საუბარი;

iii. თუ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია აღმოაჩენს, რომ მოცემული ნივთიერება შესაძლოა იყოს “სია I” და “სია II”-ში შეტანილ ნივთიერებათა ანალოგიური სახაზინო შედეგების გამომწვევი ან ანალოგიური ბოროტმოქმედების საგანი, ან თუ ის შეიძლება გადამუშავებულ ქნას ნარკოტიკულ საშუალებად, იგი აცნობებს თავის აღმოჩენის შესახებ კომისიას, რომელსაც შეუძლია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციის თანახმად დაადგინოს, რომ მოცემული ნივთიერება შეტანილ უნდა იქნას “სია I” და “სია II”-ში.

4. თუ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია აღმოაჩენს, რომ რომელიმე პრეპარატი შემცველი ნივთიერების გამო არ შეიძლება ბოროტად გამოყენებულ იქნას და არ შეიძლება გამოიწვიოს მძიმე შედეგები (პუნქტი 3) და რომ მისი შემცველი ნარკოტიკული საშუალება არ შეიძლება ადვილად იქნას მოპოვებული, კომისიას შეუძლია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციით შეიტანოს ეს პრეპარატი “სია III”-ში.

5. თუ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია აღმოაჩენს, რომ რომელიმე ნარკოტიკული საშუალება “სია I”-ში შესაძლოა ნაწილობრივ იქნას საშიში მისი ბოროტად გამოყენების თვალსაზრისით და მავნე შედეგების მომტანი (პუნქტი 3) და რომ ეს ვითარება არ არის კომპენსირებული საგრძნობი თერაპიული უპირატესობით, რომელიც არ გააჩნია სხვა ნივთიერებებს, გარდა “სია IV”-ში შეტანილი ნარკოტიკული საშუალებებისა, კომისიას შეუძლია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციის შესაბამისად შეიტანოს ეს ნარკოტიკული საშუალება “სია IV”-ში.

6. იმ შემთხვევაში, როდესაც შეტყობინება ეხება რომელიმე ნარკოტიკულ საშუალებას, რომელიც უკვე შეტანილია “სია I”-ში ან “სია II”-ში ან პრეპარატს, რომელიც შეტანილია “სია III”-ში, კომისიას შეუძლია გარდა მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ზომებისა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციის თანახმად შეცვალოს ნებისმიერი სია:

ა) გადაიტანოს რომელიმე ნარკოტიკული საშუალება “სია I”-დან “სია II”-ში ან “სია II”-დან “სია I”-ში;

ბ) გამორიცხოს რომელიმე ნარკოტიკული საშუალება ან პრეპარატი რომელიმე სიიდან საჭიროების მიხედვით.

7. წინამდებარე მუხლის საფუძველზე მიღებული კომისიის ნებისმიერი დადგენილება გენერალური მდივნის მიერ მიეწოდება გაეროს ყველა წევრ-ქვეყანას, არაწევრ ქვეყანას, რომლებიც არიან ამ კონვენციის მხარეები, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას და კომიტეტს. ასეთი დადგენილება ძალაში შედის ყველა მხარისათვის დღიდან შეტყობინების მიღებისა და ამის შემდეგ მხარეები ღებულობენ იმ ზომებს, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს წინამდებარე კონვენციის საფუძველზე.

8. ა) კომისიის დადგენილებები ნებისმიერ სიაში ცვლილებების შესახებ ექვემდებარება საბჭოს მიერ გადასინჯვას ნებისმიერი მხარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ოთხმოცდაათი დღის განმავლობაში დღიდან შეტყობინების მიღებისა ამ დადგენილების შესახებ. მოთხოვნა გადასინჯვის შესახებ ეგზავნება გენერალურ მდივანს ყველა იმ ინფორმაციასთან ერთად, რომელსაც ეყრდნობა გადასინჯვის მოთხოვნა.

ბ) გენერალური მდივანი მოითხოვნის ასლებს გადასინჯვისათვის და თანდართულ ინფორმაციას გადაცემს კომისიას, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას და ყველა მხარეს, რათა მათ ოთხმოცდაათი დღის განმავლობაში წარმოადგინონ თავიანთი შენიშვნები. ყველა წარმოდგენილი შენიშვნა განსახილველად წარდგენილი იქნება საბჭოსათვის;

გ) საბჭოს შეუძლია დაამტკიცოს, შეიტანოს ცვლილებები და გააუქმოს კომისიის გადაწყვეტილება. საბჭოს გადაწყვეტილება საბოლოოა. შეტყობინება საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ ეგზავნება გაეროს ყველა წევრ-სახელმწიფოს, არაწევრ სახელმწიფოებს, რომლებიც არიან კონვენციის მხარეები, კომისიას და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას;

დ) კომისიის საწყისი გადაწყვეტილება ძალაში რჩება გადასინჯვის პროცედურის დამთავრებამდე.

9. კომისიის ის დადგენილებები, რომლებიც წინამდებარე მუხლის შესაბამისად მიიღება, არ ექვემდებარება მე-7 მუხლით გათვალისწინებულ გადასინჯვის პროცედურას.

მუხლი 4

საერთო ვალდებულებები

მხარეები იღებენ ისეთ საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომებს, როგორც შესაძლებელია აუცილებელი იყოს:

ა) საკუთარ ტერიტორიაზე წინამდებარე კონვენციის დადგენილებათა ამოქმედებისა და შესრულებისათვის;

ბ) წინამდებარე კონვენციის დადგენილებათა შესრულებაში სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობისათვის;

გ) წინამდებარე კონვენციის დადგენილებათა თანახმად

ნარკოტიკულ საშუალებათა წარმოება, დამზადება, ექსპორტი, იმპორტი, გავრცელება, ვაჭრობა, გამოყენება და შენახვა მხოლოდ და მხოლოდ სამედიცინო და სამეცნიერო მიზნებისათვის.

მუხლი 5

კონტროლის საერთაშორისო ორგანოები

მხარეები, აღიარებენ რა გაეროს კომპეტენციას ნარკოტიკულ საშუალებებზე საერთაშორისო კონტროლის სფეროში, თანახმანი არიან მიანდონ ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ნარკოტიკულ საშუალებათა კომისიას და ნარკოტიკებზე კონტროლის საერთაშორისო კომიტეტს წინამდებარე კონვენციის თანახმად მინიჭებული ფუნქციები.

მუხლი 6

კონტროლის საერთაშორისო ორგანო

კომისიისა და კომიტეტის ხარჯებს გენერალური ასამბლეის მიერ დადგენილი განაწესის მიხედვით კისრულობს გაერო. მხარეები, რომლებიც არ არიან გაეროს წევრები, ხარჯების დასაფარად გაიღებენ იმ თანხებს, რომლებსაც გენერალური ასამბლეა სამართლიანად ჩათვლის და რომლებსაც დროდადრო დაადგენს მხარეების მთავრობებთან კონსულტაციების გზით.

მუხლი 7

კომისიის დადგენილებებისა და რეკომენდაციების გადასინჯვა

გარდა მე-3 მუხლის თანახმად მიღებული დადგენილებებისა, კომისიის მიერ წინამდებარე კონვენციის საფუძველზე მიღებული დადგენილება და რეკომენდაცია ექვემდებარება საბჭოს ან გენერალური ასამბლეის მიერ დამტკიცებას ან ცვლილებების შეტანას ისევე, როგორც კომისიის სხვა დადგენილებები და რეკომენდაციები.

მუხლი 8

კომისიის ფუნქციები

კომისია უფლებამოსილია განიხილოს ყველა საკითხი, რომელსაც აქვს რაიმე საერთო ამ კონვენციის მიზნებთან, კერძოდ კი:

- ა) სიებში ცვლილებების შეტანა მე-3 მუხლის შესაბამისად;
- ბ) კომიტეტის ყურადღების მიპყრობა იმ საკითხებზე, რომლებსაც შეხება აქვთ კომიტეტის ფუნქციებთან;
- გ) რეკომენდაციების მიცემა მოცემული კონვენციის დადგენილებების ცხოვრებაში გატარების გამო, სამეცნიერო კვლევითი პროგრამების და სამეცნიერო ან ტექნიკური ინფორმაციის გაცვლის ჩათვლით;

დ) იმ სახელმწიფოების ყურადღების მიპყრობა კომიტეტის დადგენილებებსა და რეკომენდაციებზე, რომლებიც არ არიან წინამდებარე კონვენციის მხარეები, რათა მათ განიხილონ ზომების მიღების შესაძლებლობა ამ დადგენილებებისა და რეკომენდაციების მიხედვით.

მუხლი 9

კომიტეტის შემადგენლობა და ფუნქციები

1. კომიტეტი შედგება 13 წევრისაგან, რომლებსაც საბჭოს შემდგენაირად ირჩევს:

ა) სამი წევრი – სამედიცინო, ფარმაცოლოგიური და ფარმაცევტული გამოცდილებით მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი სიიდან, რომელიც 5 კანდიდატზე ნაკლებს არ შეიცავს;

ბ) ათი წევრი – გაეროს წევრი ქვეყნების და ამ კონვენციის მხარეების, გაეროს არაწევრი ქვეყნების მიერ წარმოდგენილი სიიდან.

2. კომიტეტის წევრები უნდა იყვნენ ისეთი პირები, რომლებიც კომპეტენტურობის, მიუკერძოებლობის და დაინტერესების უქონლობის გამო საყოველთაო ნდობით სარგებლობენ. ვიდრე ისინი ამ თანამდებობაზე მუშაობენ მათ ეკრძალებათ სხვა თანამდებობაზე ან იმ დარგებში მოღვაწეობა, რომლებიც ხელს შეუშლის მათი ფუნქციების მიუკერძოებლად განხორციელებას. საბჭო კომიტეტთან შეთანხმებით ღებულობს ყველა საჭირო ზომას კომიტეტის სრული ტექნიკური დამოუკიდებლობისათვის თავისი ფუნქციების განხორციელებისას .

3. საბჭო ითვალისწინებს რა სამართლიანი გეოგრაფიული წარმომადგენლობის პრინციპს, კომიტეტის შემადგენლობაში სამართლიანი რაოდენობრივი შეფარდებით იმ პირების ჩართვის აუცილებლობას, რომლებიც კარგად იცნობენ სიტუაციას, როგორც ნარკოტიკების მწარმოებელ და დამამზადებელ, ასევე მის მომხმარებელ ქვეყნებში.

4. კომიტეტი მთავრობებთან თანამშრომლობით და მოცემული კონვენციის დადგენილებების გათვალისწინებით ცდილობენ შეამციროს ნარკოტიკულ საშუალებათა კულტივირება, დამზადება და გამოყენება მხოლოდ სამედიცინო და სამეცნიერო მიზნებისათვის საჭირო რაოდენობამდე, უზრუნველყოს მათი არსებობა ამ მიზნებისათვის და აღკვეთოს ნარკოტიკული საშუალებათა უკანონო კულტივირება, წარმოება, დამზადება, გამოყენება და უკანონო ბრუნვა.

5. კომიტეტის მიერ წინამდებარე კონვენციის თანახმად მიღებული ყველა ზომა მაქსიმალურად უნდა პასუხობდეს კომიტეტსა და მთავრობებს შორის თანამშრომლობის მიზანს. ეს ზომები უნდა უზრუნველყოფდეს მექანიზმს კომიტეტსა და მთავრობას შორის მუდმივი დიალოგისათვის და ხელს უწყობდეს ეფექტური ზომების გატარებას ეროვნულ დონეზე მოცემული კონვენციის მიზნების მისაღწევად.

მუხლი 10

კომიტეტის წევრების უფლებამოსილება და ანაზღაურება

1. კომიტეტის წევრები ინიშნებიან ამ თანამდებობაზე ხუთი წლის ვადით. შესაძლოა მათი ხელახლა არჩევა.
2. კომიტეტის თითოეული წევრის უფლებამოსილების ვადა ამოიწურება კომიტეტის პირველივე სხდომის წინა დღეს, რომელზეც მის მომდევნო წევრს აქვს დასწრების უფლება.
3. კომიტეტის ის წევრი, რომელიც არ ესწრებოდა ზედიზედ სამ სესიას განთავისუფლდება თანამდებობიდან.
4. საბჭოს, კომიტეტის რეკომენდაციით შეუძლია გაათავისუფლოს თანამდებობიდან კომიტეტის ნებისმიერი წევრი, რომელიც აღარ პასუხობს მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ პირობებს. ამგვარი რეკომენდაციის მისაღებად მას კომიტეტის ცხრა წევრმა უნდა მისცეს ხმა.
5. თუ კომიტეტში რომელიმე წევრის უფლებამოსილების ვადის დამთავრებამდე გაჩნდება ვაკანსია, საბჭომ უნდა შეავსოს იგი უმოკლეს ვადაში და მე-9 მუხლში დადგენილ პრინციპზე დაყრდნობით უნდა აირჩიოს ახალი წევრი დარჩენილი ვადით.
6. კომიტეტის წევრები ღებულობენ შესაბამის გასამრჯელოს, რომლის ოდენობას ადგენს გენერალური ასამბლეა.

მუხლი 11

კომიტეტის პროცედურის წესები

1. კომიტეტი ირჩევს თავმჯდომარეს და სხვა თანამდებობის პირებს, რომელთა არჩევას თავად თვლის საჭიროდ და ღებულობს თავისი პროცედურის წესებს.
2. კომიტეტი იკრიბება ისე ხშირად, რამდენადაც იგი თვლის საჭიროდ კომიტეტის ფუნქციის წარმატებით განხორციელების მიზნით, მაგრამ არანაკლებ ორი სესიისა ყოველი კალენდარული წლის განმავლობაში.
3. კომიტეტის სხდომების ჩასატარებლად აუცილებელი ქვორუმი შედგება რვა წევრისაგან.

მუხლი 12

ანგარიშების სისტემის მართვა

1. კომიტეტი ადგენს მე-19 მუხლით გათვალისწინებული ანგარიშების ჩაბარების ვადას ან ვადებს, წარდგენის წესს და ანგარიშების ფორმებს.
2. იმ ქვეყნებსა და ტერიტორიებთან მიმართებაში, რომლებზეც წინამდებარე კონვენცია არ ვრცელდება, კომიტეტი სთხოვს დაინტერესებულ მთავრობებს წარმოადგინონ ანგარიშები ამ კონვენციის დადგენილებების შესაბამისად.
3. თუ რომელიმე მთავრობა დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ანგარიშებს რომელიმე თავისი ტერიტორიის შესახებ, მაშინ კომიტეტი

შესაძლებლობისამებრ თვითონ აწარმოებს ანგარიშებს.

4. კომიტეტი ამოწმებს ანგარიშებს, მათ შორის დამატებით ანგარიშებს, გარდა იმისა, რაც სპეციალური მიზნებისთვისაა განკუთვნილი და შეუძლია მოითხოვოს ისეთი ინფორმაცია, რომელსაც იგი საჭიროდ ჩათვლის ნებისმიერი ქვეყნიდან და ტერიტორიიდან, საიდანაც ანგარიშები იყო წარდგენილი ანგარიშების დასრულების ან ნებისმიერი განცხადების განმარტების მიზნით.

5. კომიტეტი, ნარკოტიკულ საშუალებათა განსაზღვრული რაოდენობის მხოლოდ სამედიცინო და სამეცნიერო მიზნით გამოყენებისათვის საჭირო რაოდენობამდე შეზღუდვის და მათი აღნიშნული მიზნით ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, უმოკლეს ვადაში ამტკიცებს ანგარიშებს, მათ შორის დამატებით ანგარიშებს, ან დაინტერესებული მთავრობასთან შეთანხმებით შეაქვს ცვლილებები ასეთ ანგარიშებში. მთავრობასა და კომიტეტს შორის უთანხმოების შემთხვევაში ამ უკანასკნელს უფლება აქვს აწარმოოს, შეათანხმოს და გამოსცეს საკუთარი ანგარიშები დამატებითი ანგარიშების ჩათვლით.

6. გარდა მე-15 მუხლში აღნიშნული მოხსენებებისა, კომიტეტი მის მიერ დადგენილ ვადებში, სულ მცირე ერთ წელიწადში, გამოსცემს ანგარიშებთან დაკავშირებულ ყველა ინფორმაციას, რომელიც მისი აზრით მოცემული კონვენციის მიზნების მიღწევას აადვილებს.

მუხლი 13

სტატისტიკური მონაცემების სისტემის მართვა

1. კომიტეტი ადგენს მე-20 მუხლით გათვალისწინებული სტატისტიკური მონაცემების წარდგენის წესსა და ფორმას.

2. კომიტეტი ამოწმებს მონაცემებს, რათა განსაზღვროს ასრულებს თუ არა მხარე ან ნებისმიერი სხვა სახელმწიფო კონვენციის დადგენილებებს.

3. კომიტეტი უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია, რომელსაც ჩათვლის საჭიროდ სტატისტიკურ მონაცემებში არსებული ინფორმაციის შევსებისა და განმარტების მიზნით.

4. კომიტეტის კომპეტენციაში არ შედის ეჭვის შეტანა ან საკუთარი აზრის გამოთქმა იმ სტატისტიკურ ინფორმაციაზე, რომელიც ეხება საგანგებო მიზნებისათვის განკუთვნილ ნარკოტიკულ საშუალებებს.

მუხლი 14

კომიტეტის მიერ დადგენილი წესები კონვენციის დადგენილებების შესრულების მიზნით

1. ა) თუ კონვენციის დადგენილებების თანახმად მთავრობების მიერ კომიტეტისათვის წარდგენილი ინფორმაციის შემოწმების ან გაეროს ან სპეციალიზირებული სააგენტოების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ან იმ პირობით, რომ ისინი დამტკიცებულია კომისიის მიერ

კომიტეტის რეკომენდაციით ან სხვა სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების ან საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, რომლებსაც აქვთ უშუალო კომპეტენცია აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში და გააჩნიათ საკონსულტაციო სტატუსი ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოსთან გაეროს წესდების 71-ე მუხლის თანახმად ან აქვთ მსგავსი სტატუსი საბჭოსთან დადებული სპეციალური შეთანხმებით და კომიტეტს აქვს ობიექტური მიზეზი ჩათვალოს, რომ კონვენციის მიზნების განხორციელება გაძნელდება რომელიმე მხარის, ქვეყნის ან ტერიტორიის მიერ ამ კონვენციის დადგენილებების შეუსრულებლობის გამო, მაშინ კომიტეტი უფლებამოსილია შესთავაზოს მთავრობას, რომელსაც ეს ეხება, შესთავაზოს კონსულტაციები, ან მოითხოვოს მისგან ახსნა-განმარტებები. თუ რომელიმე მხარე, ქვეყანა ან ტერიტორია, რომელიც ასრულებს ამ კონვენციის დადგენილებებს გახდა ან შეიძლება გახდეს ნარკოტიკული საშუალებების უკანონო კულტივირების, წარმოების ან დამზადების, ან უკანონო მიმოქცევის და მოხმარების მნიშვნელოვანი ცენტრი, მაშინ კომიტეტი უფლებამოსილია შესთავაზოს დაინტერესებულ მთავრობას კონსულტაციები. კომიტეტი სარგებლობს უფლებით მხარეების, საბჭოს და კომისიის ყურადღება მიაქციოს ამავე მუხლის (დ) ქვეპუნქტში მითითებულ საკითხებზე. კომიტეტი კონფიდენციალურად განიხილავს თხოვნას ინფორმაციისათვის, ნებისმიერი მთავრობის ახსნა-განმარტებას ან წინადადებას კონსულტაციების მიღებისათვის და მთავრობასთან ჩატარებული კონსულტაციების შედეგებს ამ ქვენუქტის მიხედვით.

ბ) (ა) ქვეპუნქტებში დადგენილი წესების შემდეგ, კომიტეტი, თუ იგი ამის აუცილებლობას დაამტკიცებს, უფლებამოსილია შესთავაზოს დაინტერესებულ მთავრობას, მიიღოს სათანადო ზომები, რომლები არსებულ პირობებში აუცილებელია ამ კონვენციის დადგენილებების შესრულების მიზნით;

გ) კომიტეტს, თუ ის თვლის, რომ ასეთი ზომების მიღება აუცილებელია (ა) პუნქტში აღნიშნული ერთ-ერთი საკითხის შეფასებისათვის, შეუძლია შესთავაზოს დაინტერესებულ მთავრობას, ჩაატაროს ამ საკითხის შესწავლა საკუთარ ტერიტორიაზე იმ საშუალებებით, რომელთაც ეს მთავრობა ჩათვლის საჭიროდ. თუ აღნიშნული მთავრობა მიიღებს გადაწყვეტილებას ასეთი საკითხის შესწავლის შესახებ, მას შეუძლია მოსთხოვოს კომიტეტს გამოუყოს ექსპერტიზის ჩატარების საშუალება და ერთი ან რამდენიმე სათანადო კომპეტენციის მქონე პირი, რომლებიც დაეხმარებიან ამ მთავრობის თანამდებობის პირებს დასახელებული საკითხის შესწავლაში. ის პირი ან პირები, რომელთაც კომიტეტი გამოუყოფს მთავრობას, დამტკიცებულ უნდა იქნან ამ მთავრობის მიერ. საკითხის შესწავლის პირობები და სამუშაოს ვადები განისაზღვრება კომიტეტსა და ამ მთავრობას შორის გამართულ საკონსულტაციო შეხვედრებზე. მთავრობა მოახსენებს კომიტეტს ამ საკითხის შესწავლის შედეგებს და იმ კონკრეტული ღონისძიებების შესახებ, რომლის გატარების აუცილებლობასაც მიიჩნევს.

დ) თუ კომიტეტი ჩათვლის, რომ მთავრობამ, რომელმაც ვერ მიაწოდა

დამაკმაყოფილებელი ახსნა-განმარტებები, როცა ეს მოეთხოვა მას (ა) ქვეპუნქტის თანახმად, ან ვერ გაატარა კონკრეტული ღონისძიებები (ბ) ქვეპუნქტი), ან ის რომ არსებობს სერიოზული სიტუაცია, რომელიც მოითხოვს საერთაშორისო დონეზე ერთობლივი ქმედებების გატარებას მისი გამოსწორების მიზნით, მაშინ მან უნდა გაამახვილოს მხარეების, საბჭოს და კომისიის ყურადღება ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე. კომიტეტი ამას გააკეთებს იმ შემთხვევაში, თუ არ სრულდება კონვენციის მიზნები და შეუძლებელი იყო აღნიშნულ საკითხების სხვაგვარად გადაჭრა. კომიტეტი ასევე მოიქცევა იმ შემთხვევაშიც, როცა ის ჩათვლის, რომ არსებობს სერიოზული სიტუაცია, რომელიც მოითხოვს საერთაშორისო დონეზე ერთობლივი ქმედებების გატარებას მისი გამოსწორების მიზნით და რომ ასეთი სიტუაციის არსებობაზე მხარეების, საბჭოს და კომისიის ყურადღების გამახვილება არის ყველაზე მიზანშეწონილი მეთოდი ერთობლივი ქმედებების გატარებისათვის ხელშეწყობის მინით. აღნიშნულ საკითხებზე კომიტეტის და კომისიის, თუ ეს ხელმისაწვდომია მათთვის, მოხსენებების განხილვის შემდეგ, საბჭო გაამახვილებს გენერალური ასამბლეის ყურადღებას არსებულ მდგომარეობაზე.

2. მხარეების, საბჭოს და კომიტეტის რაიმე გარემოების მიმართ ყურადღების მიქცევით, თანახმად ზემოთ აღნიშნული 1 (დ) პუნქტისა, კომიტეტი უფლებამოსილია, თუ იგი თვლის, რომ ასეთი ქმედების ჩატარება აუცილებელია, შესთავაზოს დაინტერესებულ მხარეებს შეაჩერონ ნარკოტიკული საშუალებების იმპორტი, ექსპორტი ან ორივე ერთად – ქვეყნიდან ან ტერიტორიიდან და ქვეყანაში და ტერიტორიაზე, მითითებული ვადით ან სანამ კომიტეტი არ ჩათვლის, რომ აღნიშნულ ქვეყანაში ან ტერიტორიაზე შეიქმნა სათანადო სიტუაცია. დაინტერესებულ ქვეყანას, შეუძლია გაიტანოს საკითხი საბჭოს წინაშე.

3. კომიტეტს უფლება აქვს გამოაქვეყნოს მოხსენება ყველა საკითხის შესახებ, რომლებიც წარმოადგენენ განხილვის საგანს მოცემული მუხლის დადგენილებების საფუძველზე და გადასცემს საბჭოს, რომელიც დაუგზავნის მას ყველა მხარეს. თუ კომიტეტი ასეთ მოხსენებაში გამოაქვეყნებს ამ მუხლის დადგენილებების თანახმად მიღებულ გადაწყვეტილებას, ან ნებისმიერ ინფორმაციას მოცემული საკითხის შესახებ, ის აგრეთვე აქვეყნებს დაინტერესებული მთავრობის აზრს, ამ უკანასკნელის მოთხოვნის საფუძველზე.

4. იმ შემთხვევაში თუ ამ მუხლის საფუძველზე კომიტეტის მიერ გამოქვეყნებული გადაწყვეტილება არ იქნა ერთხმად მიღებული, მაშინ უმცირესობის აზრი გადმოცემულ უნდა იქნეს.

5. ნებისმიერი ქვეყანა მოწვეულ უნდა იყოს კომიტეტის სხდომაზე დასასწრებად, რომელზედაც ამ მუხლის შესაბამისად განიხილება ქვეყნისათვის საინტერესო საკითხი.

6. კომიტეტის გადაწყვეტილება, ამ მუხლის თანახმად მიიღება კომიტეტის ყველა წევრის ხმების ორი მესამედის უპირატესობით.

ტექნიკური და ფინანსური დახმარება

იმ შემთხვევაში, როცა კომიტეტი თვლის ამას სათანადოდ და მე - 14 მუხლის 1 და მე-2 პუნქტებზე ან დამატებითი, ან ალტერნატიული ქმედებების სახით, დაინტერესებულ მთავრობასთან შეთანხმებით, მას შეუძლია შესთავაზოს გაეროს კომპეტენტურ ორგანოებს და მის სპეციალიზირებულ სააგენტოებს გაუწიონ აღნიშნულ მთავრობას ტექნიკური და ფინანსური დახმარება, ან ორივე ერთად იმ ძალისხმევის მხარდაჭერისთვის, რომელსაც ეს მთავრობა მიმართავს ამ კონვენციით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, იმ ქმედებების ჩათვლით, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, 35 - ე, 38 - ე და 38 ბის მუხლებში.

მუხლი 15

კომიტეტის მოხსენებები

1. კომიტეტი ამზადებს წლიურ მოხსენებებს თავისი მუშაობის შესახებ და იმ დამატებით მოხსენებებს, რომლებსაც იგი საჭიროდ ჩათვლის ისინი შეიცავენ მის ხელთ არსებული ანგარიშებისა და სტატისტიკური მონაცემების ანალიზს და შესაბამის შემთხვევებში ახსნა-განმარტებებს, თუ იგი წარდგენილი ან მოთხოვნილი იყო მთავრობებისაგან იმ შენიშვნებთან და რეკომენდაციებთან ერთად, რომლებსაც კომიტეტი თვლის საჭიროდ. მოხსენებები წარდგენილ იქნება საბჭოსათვის კომისიის მეშვეობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია საჭიროებისამებრ გააკეთოს შენიშვნები მასზედ.

2. ეს მოხსენებები დაეგზავნება მხარეებს და შემდეგ გამოიცემა გენერალური მდივნის მიერ. მხარეები იძლევიან მათი შეუზღუდავად გავრცელების უფლებას.

მუხლი 16

სამდივნო

კომისიისა და კომიტეტის სამდივნო სამსახურები უზრუნველყოფილი იქნებიან გენერალური მდივნის მიერ. კერძოდ, კომიტეტის მდივანი ინიშნება გენერალურ მდივნის მიერ კომიტეტთან კონსულტაციის შედეგად.

მუხლი 17

განსაკუთრებული მმართველობა

მხარეებს დახმარება გაეწევათ განსაკუთრებულ მმართველობაში მოცემული კონვენციის დადგენილებათა შესრულების მიზნით.

მუხლი 18

ინფორმაცია, რომელსაც მხარეები წარუდგენენ გენერალურ მდივანს

1. მხარეები გენერალურ მდივანს წარუდგენენ იმ ინფორმაციას, რომელსაც კომისია მოითხოვს, როგორც თავისი ფუნქციების განსახორციელებლად აუცილებელ პირობას. კერძოდ:

ა) ყოველწლიური მოხსენებები მათ ტერიტორიაზე კონვენციით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებაზე;

ბ) ყველა კანონისა და წესის ტექსტი, რომლებიც გამოიცემა კონვენციის ეფექტურად შესრულების მიზნით.

გ) ისეთი დაწვრილებითი ანგარიშები, რომელსაც დაადგენს კომისია უკანონო ბრუნვის შემთხვევებში, აგრეთვე დაწვრილებითი ანგარიშები გამოაშკარავებული ყოველი უკანონო ბრუნვის შესახებ, რომელიც შესაძლოა იყოს მნიშვნელოვანი, ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვისათვის მოპოვების წყაროს აღმოსაჩენად ან უკანონო ბრუნვაში მონაწილე პირების მიერ ანგარიშებში შეტანილი რაოდენობების და მათ მიერ შემუშავებული მეთოდების გამო;

დ) იმ სამთავრობო სტრუქტურების სახელწოდებები და მისამართები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან გასცენ ნარკოტიკული საშუალებების ექსპორტის ან იმპორტის უფლება.

2. მხარეები წარუდგენენ წინა პუნქტში გათვალისწინებულ ინფორმაციას კომისიის მიერ დადგენილ ვადებში და ფორმებზე.

მუხლი 19

ანგარიშები ნარკოტიკულ საშუალებებზე

1. მხარეები ყოველწლიურად არ უდგენენ კომიტეტს ინფორმაციას ცალკეული ტერიტორიების მიხედვით, კომიტეტის მიერ დადგენილი წესით. ანგარიშებს აწარმოებენ მათთვის დაგზავნილ ფორმებზე შემდეგი საკითხების შესახებ:

ა) სამედიცინო და სამეცნიერო მიზნებისათვის განკუთვნილი ნარკოტიკულ საშუალებათა რაოდენობა;

ბ) სხვა ნარკოტიკულ საშუალებათა დასამზადებლად განკუთვნილი "სია III"-ში შეტანილი ნარკოტიკული საშუალებების, პრეპარატების რაოდენობა, რომლებზეც არ ვრცელდება ეს კონვენცია;

გ) ნარკოტიკული საშუალებების მარაგი იმ წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომლითაც დათარიღებულია ანგარიშები;

დ) სპეციალურ მარაგზე დასამატებელი ნარკოტიკულ საშუალებათა რაოდენობა;

ე) ოპიუმის ხაშხაშის კულტივირებისთვის გამოყენებული მიწის გეოგრაფიული მდებარეობა და ფართობი (ჰექტრებში);

ვ) საწარმოებელი ოპიუმის მიახლოებითი რაოდენობა;

ზ) იმ სამრეწველო საწარმოთა რიცხვი, რომლებიც სინთეზურ ნარკოტიკულ საშუალებებს დაამზადებენ;

თ) სინთეზური ნარკოტიკული საშუალებების რაოდენობა,

რომლებიც დამზადდება წინა პუნქტში აღნიშნულ თითოეულ საწარმოში.

2. ა) ანგარიშების შედეგი თითოეული ტერიტორიისა და ყოველი ნარკოტიკული საშუალებების შესახებ, გარდა ოპიუმის და სინთეზური ნარკოტიკული საშუალებებისა, 21-ე მუხლის მე -3 პუნქტში აღნიშნული გამოკვლევების გათვალისწინებით უნდა მოიცავდეს ამ მუხლის 1 პუნქტის (ა), (ბ) და (დ) ქვეპუნქტების მიხედვით ზუსტად განსაზღვრული რაოდენობების ჯამს, რასაც ემატება ნებისმიერი რაოდენობა, რომელიც აუცილებელია წინა წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგის 1 პუნქტის (გ) ქვეპუნქტში გათვალისწინებულ დონემდე შესავსებად;

ბ) ოპიუმის შესახებ ანგარიშების შედეგი თითოეული ტერიტორიისათვის, 21-ე მუხლის მე -3 პუნქტში იმპორტთან დაკავშირებით და 21 ბის მუხლის მე -2 პუნქტში გამოკვლევების გათვალისწინებით, უნდა მოიცავდეს ან ამ მუხლის 1 პუნქტის (ა), (ბ) და (დ) ქვეპუნქტებში მითითებული რაოდენობების ჯამს, რასაც ემატება ნებისმიერი რაოდენობა, რომელიც აუცილებელია წინა წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგის 1 პუნქტის (გ) ქვეპუნქტში გათვალისწინებულ დონემდე შესავსებად, ან ამ მუხლის 1 პუნქტის (ვ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ რაოდენობას იმისდა მიხედვით, თუ რომელი რაოდენობაა მეტი.

გ) ანგარიშების შედეგი თითოეულ ტერიტორიაზე ყოველი სინთეზური ნარკოტიკული საშუალებისათვის, 21-ე მუხლის მე -3 პუნქტში აღნიშნული გამოკვლევების გათვალისწინებით, უნდა მოიცავდეს ან ამ მუხლის 1 პუნქტის (ა), (ბ) და (გ) ქვეპუნქტებით მითითებული რაოდენობის ჯამს, რასაც ემატება ნებისმიერი რაოდენობა, რომელიც აუცილებელია წინა წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგის 1 პუნქტის (გ) ქვეპუნქტში გათვალისწინებულ დონემდე შესავსებად; ან ამ მუხლის 1 პუნქტის (თ) ქვეპუნქტში მითითებული რაოდენობა, იმის მიხედვით, თუ რომელი რაოდენობაა მეტი;

დ) ამ პუნქტის წინამდებარე ქვეპუნქტების მიხედვით წარდგენილი ანგარიშები მოდიფიცირებულ იქნება შესაბამისად, ნებისმიერი რაოდენობის გათვალისწინებით, რომელიც დაეკავშირება კონფისკაციას და შემდეგ მოხდა მისი განთავისუფლება კანონიერი გამოყენებისათვის, ასევე ნებისმიერი რაოდენობა, რომელიც საგანგებო მარაგიდან იყო აღებული მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით.

3. ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია წლის განმავლობაში წარადგინოს დამატებითი ანგარიშები მათი გამომწვევი მიზეზის დასახელებით.

4. მხარეები აცნობებენ კომიტეტს ანგარიშებში მითითებული რაოდენობების დასადგენად გამოყენებული მეთოდის და მათი ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

5. 21-ე მუხლის მე - 3 პუნქტში აღნიშნული გამოკვლების და საჭირო შემთხვევებში 21 ბის მუხლის დადგენილებების გათვალისწინებით ანგარიშები არ უნდა იყოს გადამეტებული.

მუხლი 20

კომიტეტისათვის წარსადგენი სტატისტიკური მონაცემები

1. მხარეები წარუდგენენ კომიტეტს, კომიტეტის მიერ დადგენილი წესით სტატისტიკურ მონაცემებს თითოეული თავისი ტერიტორიის შესახებ, კომიტეტის მიერ დაგზავნილ ფორმებზე შემდეგი საკითხების შესახებ;

ა) ნარკოტიკული საშუალებების წარმოება ან დამზადება;

ბ) ნარკოტიკულ საშუალებათა გამოყენება სხვა ნარკოტიკულ საშუალებათა, "სია III" – ში შესული პრეპარატების და იმ ნივთიერებათა დამზადებისათვის, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ კონვენციაში, ასევე ხაშხაშის ნამჯის გამოყენება ნარკოტიკული საშუალებების დასამზადებლად;

გ) ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება;

დ) ნარკოტიკული საშუალებების და ხაშხაშის ნამჯის ექსპორტი და იმპორტი;

ე) ნარკოტიკული საშუალებების კონფისკაცია და მათი განკარგვა;

ვ) ნარკოტიკული საშუალებების მარაგი იმ წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელი წლითაც დათარიღებულია ეს მონაცემები;

ზ) ოპიუმის ხაშხაშის კულტივირებისთვის გამოყენებული, შესაძლებლობისამებრ ზუსტად განსაზღვრული ფართობი

2. ა) სტატისტიკური მონაცემები – აღნიშნული ამავე მუხლის 1 პუნქტში, გარდა (დ) ქვეპუნქტისა – ყოველწლიურად წარედგინება კომიტეტს არა უგვიანეს მომდევნო წლის 30 ივნისისა;

ბ) სტატისტიკური მონაცემები 1 პუნქტის (დ) ქვეპუნქტში მითითებული საკითხების შესახებ დგინდება კვარტალში ერთხელ და წარედგინება კომიტეტს 1 თვის განმავლობაში იმ კვარტალის ამოწურვიდან, რომელთანაც ეს მონაცემები არიან დაკავშირებული.

3. მხარეები არ არიან ვალდებული წარადგინონ სტატისტიკური მონაცემები საგანგებო მარაგის შესახებ, მაგრამ ცალკე წარმოადგენენ ინფორმაციას მოცემულ ქვეყანაში ან ტერიტორიაზე იმპორტირებული ნარკოტიკული საშუალებების შესახებ, ან მოცემულ ქვეყანაში ან ტერიტორიაზე საგანგებო მიზნებისათვის შეძენილი ნარკოტიკული საშუალებების შესახებ; ასევე საგანგებო მარაგიდან მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ამოღებული ნარკოტიკული საშუალებების რაოდენობის შესახებ.

მუხლი 21

შეზღუდვები დამზადებაზე და იმპორტირებაზე

1. ნებისმიერი ქვეყნის ან ტერიტორიის მიერ ნებისმიერი წლის განმავლობაში დამზადებულ და იმპორტირებული ნარკოტიკული საშუალებების ჯამური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს:

ა) შესაბამისი ანგარიშების ფარგლებში სამედიცინო და სამეცნიერო

მიზნებით მოხმარებული რაოდენობის ჯამს;

ბ) შესაბამისი ანგარიშების ფარგლებში სხვა ნარკოტიკულ საშუალებათა, “სია III”-ში შეტანილი პრეპარატების და იმ ნივთიერებათა დასამზადებლად, რომლებზეც მოცემული კონვენცია არ ვრცელდება, რაოდენობის ჯამს;

გ) ექსპორტირებული ნარკოტიკული საშუალებების რაოდენობის ჯამს;

დ) მარაგის შესაბამის ანგარიშებში მითითებულ ზომამდე შევსების მიზნით დამატებული რაოდენობის ჯამს;

ე) საგანგებო მიზნებისათვის შესაბამისი ანგარიშების თანახმად შეძენილი რაოდენობის ჯამს.

2. 1. პუნქტში განსაზღვრული რაოდენობების ჯამიდან აკლდება ყველა ის რაოდენობა, რომელიც დაექვემდებარა კონფისკაციას და შემდეგ გამოყენებულ კანონიერი მოხმარებისათვის, ასევე მოსახლეობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საჭირო რაოდენობა, რომელიც აღებულ იქნა სპეციალური მარაგიდან.

3. თუ კომიტეტი გადაწყვიტავს, რომ წლის განმავლობაში დამზადებული და იმპორტირებული ნარკოტიკულ საშუალებათა რაოდენობა აღემატება ამ მუხლის 1 პუნქტში აღნიშნულ ჯამურ რაოდენობას, ნაკლებია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ გამოკლებებზე, მაშინ წლის ბოლოს ნებისმიერი ამგვარად მიღებული ზედმეტი რაოდენობა, მომდევნო წელს აკლდება დამზადებულ და იმპორტირებულ რაოდენობას და ანგარიშების შედეგს, როგორც ეს განსაზღვრულია მე-19 მუხლის მე-2 პუნქტით.

4. ა) თუ იმპორტისა და ექსპორტის შესახებ სტატისტიკური მონაცემებიდან (მუხლი 20) აღმოჩნდება, რომ ნებისმიერ ქვეყანაში ან ტერიტორიაზე ექსპორტირებული საქონლის რაოდენობა მეტია, ვიდრე ამ ქვეყნისათვის ან ტერიტორიისათვის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშების შედეგი მასზე ექსპორტირებული რაოდენობის დამატებით და ნებისმიერი ნამატის გამოკლებით ამ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომიტეტი ამცნობს ამ ფაქტს ქვეყნებს, რომლებიც მისი აზრით ინფორმირებული უნდა იქნენ;

ბ) ამ შეტყობინების მიღების შემდეგ, მხარეები მიმდინარე წლის განმავლობაში კრძალავენ ნარკოტიკული საშუალებების ექსპორტს იმ ქვეყანაში ან ტერიტორიაზე, გარდა:

- i. იმ შემთხვევისა, თუ ქვეყნის ან ტერიტორიისათვის წარდგენილ იქნება დამატებითი ანგარიშები, როგორც ზეიმპორტირებულ რაოდენობაზე, ასევე დამატებით მოთხოვნილ რაოდენობაზე;
- ii. გამონაკლისი შემთხვევებისა, სადაც ექსპორტი საექსპორტო ქვეყნის თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი ავადმყოფების სამკურნალოდ.

შეზღუდვები ოპიუმის წარმოებაზე

1. ნებისმიერ ქვეყანაში ან ტერიტორიაზე ოპიუმის წარმოების ორგანიზება და კონტროლი მოხდება ისე, რომ ნებისმიერი წლის განმავლობაში წარმოებული ოპიუმის რაოდენობა არ აღემატებოდეს მე-19 მუხლის 1 პუნქტის (ვ) ქვეპუნქტში დადგენილ რაოდენობას.

2. თუ კომიტეტი, მის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე ამ კონვენციის დადგენილებების თანახმად, აღმოაჩენს, რომ მხარემ, რომელმაც წარმოადგინა ანგარიში მე-19 მუხლის 1(ვ) პუნქტის თანახმად და არ შეზღუდა თავისი საზღვრების ფარგლებში წარმოებული ოპიუმის რაოდენობა კანონით განსაზღვრულ რაოდენობამდე, რომ ასეთი ქვეყნის საზღვრებში კანონიერად თუ უკანონოდ წარმოებული ოპიუმის მნიშვნელოვანი რაოდენობა მოხვდა უკანონო ბრუნვაში, კომიტეტს შეუძლია დაინტერესებული მხარის მიერ აღმოჩენის შესახებ შეტყობინების მიღების დღიდან ერთი თვის განმავლობაში წარდგენილი ახსნა-განმარტებების განხილვის შემდეგ გადაწყვიტოს წარმოებული ოპიუმის მთელი ან ნაწილი რაოდენობის გამოკლება აღნიშნული რაოდენობიდან და საერთო ანგარიშებიდან, რომელიც განსაზღვრულია მე-19 მუხლის 2(ბ) პარაგრაფით შემდგომი წლისათვის, სადაც გამოკლება შესაძლოა ტექნიკურად დასრულებულ იქნას, წელიწადის დროის გათვალისწინებით და ოპიუმის ექსპორტზე ხელშეკრულებებით დაკისრებული ვალდებულებების გათვალისწინებით. ეს გადაწყვეტილება ძალაში შედის დაინტერესებული მხარის მიერ შეტყობინების მიღების დღიდან ოთხმოცდამეათე დღეს.

3. დაინტერესებული მხარის მიერ ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გამოკლების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, კომიტეტი გამართავს მოლაპარაკებას ამ მხარესთან პრობლემის დამაკმაყოფილებლად გადაწყვეტის მიზნით.

4. თუ ვითარება არ მოგვარდა დამაკმაყოფილებლად, კომიტეტს შეუძლია გამოიყენოს მე-14 მუხლის დადგენილებები შესაბამისად.

5. ზემოთ აღნიშნული მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გამოკლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, კომიტეტი ითვალისწინებს არა მხოლოდ მოცემულ საკითხთან დაკავშირებულ ყველა გარემოებას, უკანონო ბრუნვის წარმოშობის მიზეზების ჩათვლით, როგორც ეს აღნიშნულია ამ მუხლის მე-2 პუნქტში, არამედ კონტროლის ნებისმიერ ახალ ქმედებებს, რომლებიც შეიძლება ჩაატაროს მოცემულმა მხარემ.

მუხლი 22

სპეციალური დადგენილებები კულტივირების შესახებ

1. იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე-ქვეყანაში ან ტერიტორიაზე არსებული პირობების გამო ოპიუმის ხაშხაშის, მცენარე კანაბისის, კოკაინის ბუჩქის კულტივირების აკრძალვა მისი აზრით ყველაზე მიზანშეწონილი

საშუალებაა მოსახლეობის ჯანმრთელობის და კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით და ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვაში გადასვლის აღსაკვეთად, ეს მხარე კრძალავს ასეთ კულტივირებას.

2. მხარე, რომელიც კრძალავს ოპიუმის ხაშხაშის ან მცენარე კანაბისის კულტივირებას, ატარებს შესაბამის ქმედებებს, რათა მოახდინოს უკანონოდ კულტივირებული მცენარის კონფისკაცია მთლიანად და გაანადგუროს იგი, გარდა მხარის მოთხოვნით განსაზღვრული მცირე რაოდენობისა, რომელიც საჭიროა სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის.

მუხლი 23

ოპიუმის სახელმწიფო სააგენტოები

1. მხარე, რომელიც უშვებს ოპიუმის ხაშხაშის კულტივირებას ოპიუმის წარმოების მიზნით, ქმნის, თუ აქამდე არ შეუქმნია, ერთ ან რამოდენიმე სახელმწიფო სააგენტოს (შემდგომში ამ მუხლში “სააგენტოდ” წოდებული) ამ მუხლით განსაზღვრული ფუნქციების შესასრულებლად.

2. ყოველი ასეთი მხარე იყენებს ოპიუმის ხაშხაშისა და ოპიუმის მიმართ შემდგომ დადგენილებებს:

ა) სააგენტო ადგენს რაიონებს და მიწის ნაკვეთებს, სადაც ოპიუმის ხაშხაშის კულტივირება, ოპიუმის წარმოების მიზნით ნებადართული იქნება;

ბ) კულტივაცია ნებადართულია მხოლოდ იმ მიწათმოქმედებისათვის, ვისაც აქვს სააგენტოს მიერ გაცემული ლიცენზია;

გ) ყველა ლიცენზიაში ზუსტად არის მითითებული კულტივირებისათვის ნებადართული ფართობის ოდენობა;

დ) ყველა მიწათმოქმედი, რომელიც დაკავებულია ოპიუმის ხაშხაშის კულტივაციით ვალდებული არიან ჩააბარონ ოპიუმის მთელი მოსავალი სააგენტოს. სააგენტო ყიდულობს და ხდება ოპიუმის მოსავლის ფაქტიური მფლობელი მოსავლის აღების დამთავრების მომენტიდან არაუმეტეს ოთხი თვისა.

ე) ოპიუმთან დაკავშირებით სააგენტოს აქვს იმპორტირების, ექსპორტირების, საბითუმო ვაჭრობისა და საწყობებში შენახვის ექსკლუზიური უფლებები; მათგან განსხვავებით, ვინც ამზადებს ოპიუმის ალკალოიდებს, სამედიცინო ოპიუმს ან ოპიუმის პრეპარატებს. მხარეებმა არ უნდა გასცენ ექსკლუზიური უფლება სამედიცინო ოპიუმზე და ოპიუმის ხაშხაშზე.

3. მე-2 პუნქტში ასახული სამთავრობო ფუნქციები სრულდება ერთიანი სამთავრობო სააგენტოს მიერ, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ამ მხარის კონსტიტუციას.

მუხლი 24

შეზღუდვები საერთაშორისო ვაჭრობისათვის განკუთვნილი ოპიუმის წარმოებაზე

1. (ა) თუ რომელიმე მხარე აპირებს ოპიუმის წარმოებას ან წარმოების გაზრდას, მან უნდა გაითვალისწინოს ოპიუმზე არსებული მოთხოვნილება მსოფლიოში, კომიტეტის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშების გათვალისწინებით, რათა ამ მხარის მიერ ოპიუმის წარმოებამ არ გამოიწვიოს ოპიუმის ჭარბი რაოდენობით წარმოება მსოფლიოში.

(ბ) მხარეები აკრძალავენ ოპიუმის წარმოებას ან წარმოების ზრდას, თუ მათი აზრით ასეთი წარმოება ან წარმოების ზრდა მათ ტერიტორიაზე ოპიუმის უკანონო ბრუნვას გამოიწვევს.

2. ა) 1 პუნქტში აღნიშნული საკითხი, სადაც მხარე, რომელიც არ აწარმოებდა ოპიუმს 1961 წლის 1 იანვრამდე, სურს აწარმოოს მის მიერ წარმოებული ოპიუმის ექსპორტი არა უმეტეს 5 ტონისა წელიწადში, ვალდებულია აუწყოს კომიტეტს შემდგომი ინფორმაცია:

- i. ამ კონვენციის მოთხოვნების თანახმად მოქმედი კონტროლის სისტემის შესახებ, წარმოებულ და ექსპორტირებულ ოპიუმთან დაკავშირებით;
- ii. იმ ქვეყნის ან ქვეყნების დასახელების შესახებ, რომელშიც ის აპირებს ოპიუმის ექსპორტის წარმოებას;

კომიტეტი მოიწონებს ამ შეტყობინებას, ან რეკომენდაციას მისცემს მოცემულ მხარეს, რომ მან არ აწარმოოს ოპიუმი საექსპორტოდ.

ბ) თუ რომელიმე მხარეს, გარდა მე-3 პუნქტში აღნიშნული მხარეებისა, სურს აწარმოოს ოპიუმი საექსპორტოდ წელიწადში 5 ტონაზე მეტი ოდენობით, მან უნდა შეატყობინოს ამის შესახებ საბჭოს და წარმოუდგინოს მას ინფორმაცია:

- i. საექსპორტოდ განკუთვნილი საწარმოებელი ოპიუმის მოსალოდნელ რაოდენობაზე
- ii. საწარმოებელ ოპიუმზე არსებულ ან დადგენილ კონტროლის სისტემაზე;
- iii. იმ ქვეყნის ან ქვეყნების დასახელების შესახებ, რომელშიც ან რომლებშიც ის აპირებს ოპიუმის ექსპორტის წარმოებას;

საბჭო მოიწონებს ამ შეტყობინებას, ან რეკომენდაციას მისცემს მოცემულ მხარეს, რომ მან არ აწარმოოს ოპიუმი საექსპორტოდ.

3. მე-2 პუნქტის (ა) და (ბ) ქვეპუნქტების მიუხედავად, მხარეს, რომელმაც ათი წლის განმავლობაში 1961 წლის 1 იანვრამდე აწარმოა თავის ქვეყანაში წარმოებული ოპიუმის ექსპორტი, შეუძლია კვლავაც გააგრძელოს იგი.

4. ა) მხარეები არ აწარმოებენ ოპიუმის იმპორტს რომელიმე ქვეყნიდან ან ტერიტორიიდან, გარდა შემდეგ ტერიტორიებზე წარმოებული ოპიუმისა:

- i. მე-3 პუნქტში აღნიშნული მხარეები;
- ii. მხარეები, რომლებმაც შეატყობინეს კომიტეტს მე-2 პუნქტის (ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია;
- iii. მხარეები, რომლებმაც მიიღეს საბჭოს თანხმობა 2(ბ) პუნქტის მიხედვით.

ბ) ამ პუნქტის (ა) ქვეპუნქტის მიუხედავად, მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერი მხარის მიერ საექსპორტოდ წარმოებული ოპიუმის იმპორტირება, რომელიც აწარმოებდა ოპიუმს და შესაბამისად მის ექსპორტს ათი წლის განმავლობაში 1961 წლის 1 იანვრამდე, თუ აღნიშნულმა ქვეყანამ 23-ე მუხლის თანახმად შექმნა სახელმწიფო კონტროლის ორგანო ან სააგენტო, რომელიც უზრუნველყოფს, რომ მის მიერ წარმოებული ოპიუმი არ მოხვდეს უკანონო ბრუნვაში.

5. მოცემული მუხლის დადგენილებები არც ერთ მხარეს არ უკრძალავს:

ა) ოპიუმის წარმოებას საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით საკმარისი რაოდენობით;

ბ) უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ოპიუმის ექსპორტს სხვა ქვეყანაში ამ კონვენციის მოთხოვნების თანახმად.

მუხლი 25

კონტროლი ხაშხაშის ნამჯაზე

1. მხარე, რომელიც ახდენს ოპიუმის ხაშხაშის კულტივაციას, რომელიც გამიზნულია არა ოპიუმის წარმოებისათვის, ატარებს ყველა აუცილებელ ღონისძიებას, რათა:

ა) ოპიუმი არ იყოს წარმოებული აღნიშნული ოპიუმის ხაშხაშიდან;

ბ) სათანადოდ გაკონტროლდეს აღნიშნული ხაშხაშის ნამჯიდან ნარკოტიკული საშუალებების დამზადება.

2. მხარეებმა უნდა დაადგინონ ხაშხაშის ნამჯის იმპორტზე სერტიფიკატების და ექსპორტზე უფლებამოსილების სისტემა, როგორც ეს გათვალისწინებულია 31-ე მუხლის 4-15 პუნქტების მიხედვით.

3. მხარეები წარადგენენ სტატისტიკურ მონაცემს ხაშხაშის ნამჯის იმპორტზე და ექსპორტზე, რომელიც მოეთხოვებათ ნარკოტიკულ საშუალებებზე მე-20 მუხლის 1(დ) და 2(ბ) პუნქტების თანახმად.

მუხლი 26

კოკაინის ბუჩქი და კოკას ფოთლები

1. თუ რომელიმე მხარე ახდენს კოკაინის ბუჩქის კულტივირებას, იგი იყენებს კოკას ბუჩქის და კოკას ფოთლების მიმართ კონტროლის სისტემას, როგორც გათვალისწინებულია 23-ე მუხლში ოპიუმის ხაშხაშის მიმართ, ხოლო რაც შეეხება ზემოაღნიშნულ მუხლის მე-2(დ) პუნქტს, მასში ნახსენები სააგენტოების ვალდებულება მდგომარეობს მხოლოდ მოსავლის ფაქტიურ მფლობელად გახდომაში მოსავლის აღების მომენტიდან უმოკლეს ვადებში.

2. მხარეები, შესაძლებლობისამებრ ჩაატარებენ სათანადო ღონისძიებებს ველურად მზარდი კოკაინის ბუჩქების გასანდგურებლად. ასევე გაანადგურებენ უკანონოდ კულტივირებულ კოკაინის ბუჩქებს.

მუხლი 27
დამატებითი დადგენილებები კოკას
ფოთლებთან დაკავშირებით

1. მხარეებს შეუძლიათ დაუშვან კოკას ფოთლების გამოყენება არამოტიზირებული ნივთიერებების დასამზადებლად, თუ ისინი არ შეიცავენ ალკალოიდებს. გამომდინარე მათი ამ მიზნით გამოყენების აუცილებლობიდან მათ შეუძლიათ დაუშვან ამ ფოთლებს დამზადება, იმპორტი, ექსპორტი, მათი შენახვა და ვაჭრობა.

2. მხარეები ცალკე წარმოადგენენ ანგარიშებს (მუხლი 19) და სტატისტიკურ მონაცემებს (მუხლი 20) არომატიზირებული ნივთიერებების წარმოების მიზნით განკუთვნილი კოკას ფოთლების შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კოკას ფოთლები გამოიყენება როგორც ალაკალოიდები, ასევე არომატიზირებული ნივთიერებების მისაღებად და ეს გარემოება ახსნილია ანგარიშებში და სტატისტიკურ მონაცემებში.

მუხლი 28
კონტროლი კანაბისზე

1. თუ რომელიმე მხარე ნებას რთავს მცენარე კანაბასის კულტივირებაზე კანაბასის ან კანაბასის ფისის საწარმოებლად, ამ შემთხვევაში ის იყენებს კონტროლის სისტემას, როგორც ეს გათვალისწინებულია 23-ე მუხლში ოპიუმის ხაშხაშის მიმართ.

2. ეს კონვენცია არ გამოიყენება სამრეწველო მიზნებით (ბოჭკო და თესლი) ან მებაღეობისათვის კულტივირებული მცენარე კანაბასის მიმართ.

3. მხარეები იღებენ იმ ზომებს, რომლებიც აუცილებელია კანაბასის მცენარისა და ფოთლების ბოროტად გამოყენებისა და მათი უკანონო ბრუნვის მიზნით.

მუხლი 29
დამზადება

1. მხარეები მოითხოვენ, რომ ნარკოტიკული ნივთიერებების დამზადება ხდებოდეს ლიცენზიებით გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დამზადებას ახორციელებს სახელმწიფო საწარმო ან საწარმოები.

2. მხარეები:

ა) აკონტროლებენ ყველა პირს და წარმოებას, რომლებიც ამზადებენ ნარკოტიკულ საშუალებებს ან აწარმოებენ მის დამზადებას.

ბ) ლიცენზიების საშუალებით აკონტროლებენ საწარმოებს და შენობებს, სადაც დამზადება შეიძლება ხორციელდებოდეს;

გ) მოითხოვენ, რომ ლიცენზიის მქონე ნარკოტიკულ საშუალებათა დამამზადებლებმა შეიძინონ პერიოდული ნებართვა, სადაც განსაზღვრული იქნება იმ ნარკოტიკულ საშუალებათა სახეობა და რაოდენობა, რომელთა დამზადებაზეც მიეცემათ უფლება. ბოლო,

პრეპარატების დასამზადებლად პერიოდული უფლების აღება საჭირო არ არის.

3. მხარეები არ დაუშვებენ ფაბრიკატების ხელთ ნარკოტიკულ საშუალებათა და ხაშხაშის ნამჯის თავის მოყრას ისეთი რაოდენობით, რომელიც აღემატება არსებული საბაზრო პირობების გათვალისწინებით საქმის ნორმალური წარმოებისათვის საჭირო რაოდენობას.

მუხლი 30 ვაჭრობა და განაწილება

1. ა) მხარეები მოითხოვენ, რომ ნარკოტიკული საშუალებებით ვაჭრობა და მათი განაწილება ხორციელდებოდეს ლიცენზიებით, იმ შემთხვევების გარდა, როცა ვაჭრობა და განაწილება ხორციელდება სახელმწიფო საწარმოს ან სახელმწიფო საწარმოების მიერ.

ბ) მხარეები:

- i. გააკონტროლებენ ყველა პირს და ყველა საწარმოს, რომლებიც ახორციელებენ ნარკოტიკული საშუალებებით ვაჭრობას, ან რომლებიც მონაწილეობენ ვაჭრობაში და განაწილებაში;
- ii. ლიცენზირების საშუალებით გააკონტროლებენ საწარმოს და შენობას, რომელშიც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ვაჭრობას და განაწილებას. ეს მოთხოვნა ლიცენზიების შესახებ არ ეხება პრეპარატებს;

გ) (ა) და (ბ) ქვეპუნქტებით დადგენილი ლიცენზიები შესაძლებელია არ მოითხოვებოდეს იმ პირებისაგან, რომლებიც უფლებამოსილი არიან შეასრულონ საექიმო და სამეცნიერო ფუნქციები განხორციელების პერიოდში.

2. მხარეები ასევე:

ა) არ დაუშვებენ ვაჭრების, გამანაწილებელი ორგანიზაციების, სახელმწიფო საწარმოების ან იმ უფლებამოსილი პირების, რომლებიც ზემოთ იყო მოხსენებული, ნარკოტიკული საშუალებათა და ხაშხაშის ნამჯის მათ ხელში თავის მოყრას ისეთი რაოდენობით, რომელიც არ აღემატება მათი ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო რაოდენობას არსებული საბაზრო პირობების გაითვალისწინებით;

ბ)

i. მოითხოვენ ცალკეული პირებისაგან ნარკოტიკულ საშუალებათა გაცემის დროს სამედიცინო რეცეპტის წარდგენას. ეს მოთხოვნა შესაძლებელია არ შეეხოს იმ ნარკოტიკულ საშუალებებს, რომლებიც ცალკეულმა პირებმა შეიძლება კანონიერად მიიღონ, გამოიყენონ, გასცენ და დაუნიშნონ მათი თერაპიული ფუნქციების შესაბამისი

უფლებებით განხორციელების დროს.

ii. თუ მხარეები თვლიან, რომ ეს ზომები აუცილებელია ან სასურველია, ისინი მოითხოვენ, რომ “სია I”-ში ჩამოთვლილ ნარკოტიკულ საშუალებებზე გაცემული რეცეპტები გამოწერილ იქნას სპეციალურ ფორმებზე, რომლებსაც გამოსცემენ კომპეტენტური ორგანოები ან პროფესიონალური ასოციაციები მცირე ზომის წიგნაკის სახით.

3. სასურველია, რომ მხარეებმა მოითხოვონ საერთაშორისო არარეგისტრირებული დასახელების აღნიშვნის შემოღება, რომელიც დადგენილი იქნება მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ, ნარკოტიკული საშუალებების წერილობით ან ბეჭდვით წინადადებებში, რეკლამაში, აღწერით ლიტერატურაში, კომერციული მიზნებისათვის გამოსაყენებელ, ნარკოტიკულ საშუალებათა შემცველი ნივთიერების შეფუთული პაკეტების შიდა მხარეზე და ეტიკეტებზე, რომლითაც ისინი სავაჭრო ქსელში გადიან.

4. თუ რომელიმე მხარე თვლის ასეთ ზომებს აუცილებლად ან სასურველად, ის მოითხოვს, რომ ნარკოტიკულ საშუალებათა შემცველი შეფუთული პაკეტების შიდა მხარეს გარკვევით ჩანდეს ორმაგი წითელი ხაზი. ასეთი ნარკოტიკული საშუალების შემცველი პაკეტის გარე მხარეს არ უნდა ჰქონდეს ორმაგი წითელი ხაზი.

5. მხარეები მოითხოვენ, რომ ეტიკეტებზე, რომლითაც ნარკოტიკული საშუალებები გადიან სავაჭრო ქსელში, ზუსტად იქნას მითითებული ნარკოტიკულ საშუალებათა პროცენტული ან წონითი მოცულობა. ასეთი მოთხოვნები შეიძლება არ იქნას მიღებული იმ ნარკოტიკულ საშუალებათა მიმართ, რომლებიც გაიცემიან ცალკეულ პირებზე ექიმის რეცეპტით.

6. მე-2 და მე-5 პუნქტების დადგენილებები შეიძლება არ იქნან გამოყენებული “სია II”-ში ჩამოთვლილ ნარკოტიკულ საშუალებათა მიმართ საცალო ვაჭრობაში და საცალო განაწილებაში.

მუხლი 31

საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული სპეციალური პირობები

1 მხარეები შეგნებულად არ აძლევენ ნარკოტიკული საშუალებების ექსპორტის უფლებას არც ერთ ქვეყანაში ან ტერიტორიაზე, გარდა:

ა) იმ ქვეყნის ან ტერიტორიის კანონების და წესების გათვალისწინებით;

ბ) იმ ქვეყნის ან ტერიტორიის წინასწარი ანგარიშების შედეგების ფარგლებში (როგორც ეს მე-19 მულის მე-2 პუნქტშია მოცემული), რასაც ემატება რეექსპორტისათვის განკუთვნილი რაოდენობა.

2. მხარეები თავისუფალ პორტებში და ზონებში ჩაატარებენ იგივე ზედამხედველობას და კონტროლს, რასაც ატარებენ თავიანთი ტერიტორიების სხვა ნაწილებში, თუმცა მათ შეუძლიათ მიიღონ უფრო

ძლიერი ზომები.

3. მხარეები:

ა) ლიცენზიების საშუალებით აკონტროლებენ ნარკოტიკული საშუალებების იმპორტს და ექსპორტს, იმ შემთხვევების გარდა, როცა ასეთი იმპორტი ან ექსპორტი ხორციელდება სახელმწიფო საწარმოს ან საწარმოების მიერ.

ბ) აკონტროლებენ ყველა პირს და ყველა საწარმოს, რომლებიც ახორციელებენ იმპორტს და ექსპორტს.

4. ა) ყოველი მხარე, რომელიც იძლევა ნარკოტიკული საშუალებების იმპორტისა და ექსპორტის უფლებას, ითხოვს ყოველი იმპორტის და ექსპორტის შემთხვევაში ცალკე ცნობას ან ნებართვას, განურჩევლად იმისა ეხება ეს ცალკეული თუ რამოდენიმე ნარკოტიკულ საშუალებას.

ბ) ასეთ ცნობაში თუ ნებართვაში მითითებულია ნარკოტიკული საშუალებების დასახელება, საერთაშორისო არარეგისტრირებული დასახელება (თუ ასეთი არსებობს), საექსპორტო და საიმპორტო ნარკოტიკულ საშუალებათა რაოდენობა, ექსპორტიორების და იმპორტიორების სახელი და მისამართი, აგრეთვე იმპორტისა და ექსპორტის განხორციელების ვადა.

გ) ექსპორტზე ნებართვაში აგრეთვე უნდა იყოს მითითებული იმპორტის ცნობის ნომერი, თარიღი და გამცემი დაწესებულება;

დ) იმპორტის ცნობაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნას კონსიგნაციური წესით პარტიებად შემოტანა.

5. ექსპორტზე ნებართვის გაცემის წინ, მხარეები ითხოვენ იმპორტზე ცნობის წარდგენას, რომელიც გაცემულია იმპორტიორი ქვეყნის ან ტერიტორიის კომპეტენტური ორგანოების მიერ და რომელშიც დამოწმებულ უნდა იქნას, რომ მასში მითითებული ნარკოტიკული საშუალებების ან საშუალებების იმპორტი დაშვებულია. ასეთი ცნობა უნდა წარადგინოს პირმა ან წარმოებამ, რომელმაც წარადგინა განცხადება ექსპორტის უფლების მისაღებად. მხარეები, შესაძლებლობის მიხედვით იყენებენ კომისიის მიერ დამტკიცებულ იმპორტზე ცნობის ფორმის ნიმუშებს.

6. ნებისმიერ კონსიგნაციურ პარტიას თან უნდა ახლდეს ექსპორტზე ნებართვის ასლი, ხოლო მისი გამცემი მთავრობა უგზავნის იმპორტიორი ქვეყნის ან ტერიტორიის მთავრობას ამ ნებართვის ასლს.

7. ა) მას შემდეგ, რაც იმპორტი განხორციელდა ან რაც იმპორტისათვის განკუთვნილი ვადა შესრულდა, შემომტანი ქვეყნის ან ტერიტორიის მთავრობა უბრუნებს ექსპორტიორი ქვეყნის ან ტერიტორიის მთავრობას ექსპორტის ნებართვას შესაბამისი რეზოლუციით;

ბ) ხსენებულ რეზოლუციაში მითითებული უნდა იყოს ფაქტიურად იმპორტირებული საქონლის რაოდენობა;

გ) თუ ფაქტიურად ექსპორტირებული საქონლის რაოდენობა ნაკლებია იმ რაოდენობაზე, რომელიც ნაჩვენებია იყო ექსპორტზე ნებართვაში, მაშინ აღნიშნულ ნებართვაში და ყველა მის ოფიციალურ ასლზე კომპეტენტური ორგანოები აღნიშნავენ ფაქტიურ ექსპორტირებულ

რაოდენობას.

8. აკრძალულია კონსიგნაციური წესით ტვირთის ექსპორტირება, საფოსტო ყუთის ან ბანკის მეშვეობით იმ მხარის ანგარიშზე, რომელიც არ არის მითითებული ექსპორტზე ნებართვაში.

9. აკრძალულია კონსიგნაციური წესით ექსპორტი განუბაჟებელი საქონლის საბაჟოს საწყობში, თუ იმპორტიორი ქვეყნის მთავრობამ არ დაადო რეზოლუცია იმპორტის მოწმობაზე, რომელიც წარდგენილია ექსპორტის ნებართვის მომთხოვნ ცალკეული პირის ან დაწესებულების მიერ, რომ ის იძლევა ნებართვას იმპორტირებული განუბაჟებელი საქონლის საბაჟოს საწყობში მოთავსებას. ასეთ შემთხვევაში ექსპორტზე ნებართვებში გასაზღვრული უნდა იქნეს, რომ კონსიგნაციური წესით საქონლის ექსპორტირება ხდება ზემოაღნიშნული მიზნით. განუბაჟებელი საქონლის საბაჟო საწყობიდან საქონლის უკან გატანა ნებადართულ უნდა იქნეს ხელისუფლების მიერ, რომლის იურისდიქციის ქვეშაც იმყოფება ეს საწყობი, ხოლო საზღვრებს გარეთ გატანა ამ კონვენციის მიხედვით განიხილება, როგორც ახალი ექსპორტირება.

10. ნარკოტიკულ საშუალებათა კონსიგნაციური წესით შეტანა ან გატანა რომელიმე მხარის ტერიტორიაზე ან ტერიტორიიდან, თუ არ ახლავს მას ექსპორტზე ნებართვა, დაკავებულ იქნება კომპენტენტური ორგანოების მიერ.

11. მხარეები არ მისცემენ კონსიგნაციური წესით სხვა ქვეყნის გავლით ნარკოტიკული საშუალებების ტრანზიტით გადატანის უფლებას, იმისადა მიუხედავად, გადმოიტვირთება თუ არა ისინი გადასაზიდი საშუალებებიდან, რითაც ხდება მათი ტრანსპორტირება, თუ ექსპორტზე ნებართვის ასლი ასეთ კონსიგნაციებზე არ იქნება წარდგენილი ასეთი მხარის კომპენტენტური ორგანოებისადმი.

12. ნებისმიერი ქვეყნის ან ტერიტორიის კომპენტენტური ხელისუფლება, რომელთა გავლითაც ნარკოტიკული საშუალებების კონსიგნაციური წესით გადატანა ნებადართულია, ღებულობს ყველა აუცილებელ ზომას, რომ თავიდან აიცილოს ნარკოტიკულ საშუალებათა მარშრუტის შეცვლა, ექსპორტის ნებართვაში მითითებული მიმართულებიდან, თუ ამ ქვეყნის ან ტერიტორიის მთავრობა არ მისცემს უფლებას კონსიგნაციური წესით ექსპორტის ნებართვაში მარშრუტის შეცვლაზე. ტრანზიტის ქვეყნის ან ტერიტორიის მთავრობა, ნარკოტიკული საშუალებების ყველა პარტიას, რომელთა მარშრუტის შეცვლის შესახებ მიღებული აქვს განაცხადი, განიხილავს, როგორც ტრანზიტის ქვეყნიდან ან ტერიტორიიდან ექსპორტს ახალი დანიშნულების ქვეყანასა თუ ტერიტორიაზე. თუ მარშრუტის შეცვლა ნებადართულია, მაშინ მე-7 პუნქტის (ა) და (ბ) ქვეპუნქტების დადგენილებები შეიძლება იქნას გამოყენებული ტრანზიტის ქვეყნისა ან ტერიტორიის მიმართ, აგრეთვე იმ ქვეყნის ან ტერიტორიის მიმართ, რომლიდანაც ნარკოტიკულ საშუალებათა პარტიის პირველადი ექსპორტი ხორციელდება.

13. ნარკოტიკულ საშუალებათა არც ერთი პარტია, რომელიც იმყოფება ტრანზიტზე ამ მოთავსებულია განუბაჟებელი საქონლის საბაჟოს

საწყობში, არ შეიძლება იქნას გადამუშავებული ისე, რომ შეიცვალოს ნარკოტიკულ საშუალებათა სახე. არც შეფუთვის შეცვლა შეიძლება კომპეტენტური ხელისუფლების განკარგულების გარეშე.

14. 11-13 პუნქტების დადგენილებები, რომელიც შეეხება ერთ-ერთი მხარის ტერიტორიაზე ნარკოტიკული საშუალებების ტრანზიტით გადაზიდვას, არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა გადაიტანება საჰაერო გზით. იმ პირობით, თუ ტრანზიტის ქვეყანას თვითმფრინავი გადაივლის და არ დაჯდება მის ტერიტორიაზე. თუ თვითმფრინავი ჯდება ამ ქვეყნის ტერიტორიაზე, მაშინ ზემოხსენებული დადგენილებები გამოიყენება გარემოების შესაბამისად.

15. ამ მუხლის დადგენილებები არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო შეთანხმების დადგენილებებს, კონტროლის შეზღუდვის შესახებ, რომელიც შეიძლება განახორციელოს რომელიმე მხარემ ნარკოტიკულ საშუალებათა ტრანზიტული გადაზიდვისას.

16. მოცემულ მუხლში, გარდა 1(ა) და მე -2 პუნქტებისა, არ არის სავალდებულო "სია III"-ში შეტანილი პრეპარატების მიმართ.

მუხლი 32

სპეციალური დადგენილებები, რომლებიც ეხება
საერთაშორისო მიმოსვლის თვითმფრინავებს და
გემებს პირველადი დახმარების აფთიაქებში ნარკოტიკული
საშუალებების გადატანას

1. კონვენციის მიხედვით, საერთაშორისო მიმოსვლის თვითმფრინავებზე და გემებზე შეზღუდული რაოდენობით ნარკოტიკული საშუალებების გადატანა, რომლებიც აუცილებელია პირველადი დახმარების გაწევის ან ექსტრემალურ სიტუაციებში მოგზაურობის დროს გამოსაყენებლად, არ განიხილება, როგორც იმპორტი, ექსპორტი ან გადაზიდვა.

2. მარეგისტრირებული ქვეყანა გამოიყენებს არსებულ დამცავ ზომებს ნარკოტიკული საშუალებების არასწორად გამოყენების თავიდან ასაცილებლად ან მათი არაკანონიერად ბრუნვის შემთხვევაში. სათანადო საერთაშორისო ორგანიზაციებთან თათბირის შედეგად, კომისია იძლევა ასეთი დამცავი ზომების მიღების რეკომენდაციას.

3. 1-ლი პუნქტის თანახმად თვითმფრინავებზე ან გემებზე გადასატან ნარკოტიკული ნივთიერებების მიმართ გამოიყენება კანონები, წესები და მარეგისტრირებული ქვეყნის ლიცენზიები და ნებართვები, ადგილობრივი კომპეტენტური ხელისუფლების უფლებების შელახვის გარეშე – თვითმფრინავებზე და გემებზე შემოწმების, ინსპექციის და სხვა სახის კონტროლის ჩატარების მხრივ. ნარკოტიკულ საშუალებათა გამოყენება ექსტრემალურ პირობებში არ განიხილება როგორც 30-ე მუხლის 2 (ბ) პუნქტის დარღვევა.

მუხლი 33

ნარკოტიკულ საშუალებათა ფლობის უფლება

მხარეები არ აძლევენ ნარკოტიკულ საშუალებათა ფლობის უფლებას, გარდა კანონით გათვალისწინებული უწყებებისა.

მუხლი 34

ინსპექცია და ზედამხედველობა

მხარეები მოითხოვენ:

ა) რომ ყველა პირს, რომელიც იღებს ლიცენზიას ამ კონვენციის დადგენილებების შესაბამისად და აქვს მმართველის ან ზედამხედველის თანამდებობა ამ კონვენციის დადგენილებების თანახმად შექმნილ სახელმწიფო ორგანიზაციებში, უნდა ჰქონდეთ შესაბამისი კვალიფიკაცია არსებული კანონების და წესების ეფექტურად და ზუსტად აღსრულებაში.

ბ) რომ სამთავრობო უწყებებმა, ფაბრიკანტებმა, ვაჭრებმა, მეცნიერებმა, სამეცნიერო ინსტიტუტებმა და საავადმყოფოებმა გააკეთონ ჩანაწერები ნებისმიერი ნარკოტიკულ საშუალებათა დამზადების რაოდენობის შესახებ და ნარკოტიკულ საშუალებათა ყოველი ცალკეული შეძენისა და გამოყენების შესახებ. ეს ჩანაწერები უნდა შეინახოს არანაკლებ ორ წლისა, სადაც გამოიყენება რეცეპტების პატარა წიგნაკები ((მუხლი 30, პუნქტ 2(ბ)). ეს წიგნაკები და მონახევი გვერდები შენახულ უნდა იქნას არანაკლებ ორი წლისა.

მუხლი 35

უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები

საკუთარი კონსტიტუციური, ლეგალური და ადმინისტრაციული სისტემების გათვალისწინებით, მხარეები:

ა) ეროვნულ დონეზე ატარებენ უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ აღსაკვეთ და რეპრესიულ ღონისძიებებს. ამ მიზნით შეიძლება შეიქმნას შესაბამისი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ასეთ კოორდინაციაზე.

ბ) ეხმარებიან ერთმანეთს უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის მიზნით კომპანიის ჩატარებაში.

გ) მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან და იმ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლის წევრებიც არიან, უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის წინააღმდეგ შეთანხმებული კომპანიის განხორციელების მიზნით.

დ) უზრუნველყოფენ შესაბამის ორგანოებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობის სწრაფ განხორციელებას.

ე) როცა სასამართლო გამოძიებისათვის საჭიროა საერთაშორისო წესით იურიდიული დოკუმენტების გადაცემა, უზრუნველყოფენ ამ გადაცემის სისწრაფეს იმ ორგანიზაციებისათვის, რომელიც მინიშნებულია მხარეების მიერ; ეს არ არღვევს მხარეების უფლებას მოითხოვონ ოფიციალური დოკუმენტების დიპლომატიური ფოსტით გადაგზავნა.

ვ) თუ ამას თვლიან მიზანშეწონილად გენერალური მდივნის მეშვეობით კომიტეტს და კომისიას წარუდგენენ დამატებით მონაცემებს იმ ინფორმაციაზე, რომელიც ეხება ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო მოქმედებებს მის საზღვრებში, როგორცაა კულტივირება, წარმოება, გამოყენება და უკანონო ბრუნვა, რაც გათვალისწინებულია ამ კონვენციის მე-18 მუხლით.

ზ) წარუდგენენ წინა პუნქტში ჩამოთვლილ ცნობებს ისეთი სახით და იმ ვადებში, როგორც ამას კომიტეტი მოითხოვს; მხარეების მოთხოვნის საფუძველზე კომიტეტს შეუძლია შესთავაზოს საკუთარი რჩევა ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებული ქმედებების შეზღუდვის შესახებ მათი ტერიტორიის ფარგლებში.

მუხლი 36 სასჯელი

1. ა) საკუთარ კონსტიტუციურ შეზღუდვებთან ერთად, მხარეები დებულობენ ყველა ზომას, რომ ნარკოტიკულ საშუალებათა კულტივირება და წარმოება, დამზადება, ამოღება, მომზადება, შენახვა, შეთავაზება, შეთავაზება გასაღების მიზნით, განაწილება, ყიდვა, გაყიდვა, ნებისმიერი პირობით მიტანა, გარიგება, გაგზავნა, გადაგზავნა ტრანზიტით, ტრანსპორტირება, იმპორტირება, ექსპორტირება ამ კონვენციის დადგენილებების დარღვევით და სხვა რაიმე მოქმედება, რომელიც მხარეების აზრით შეიძლება იყოს ამ კონვენციის დადგენილებების დარღვევა – ჩათვლება დანაშაულად. ეს სერიოზული დანაშაული დაისჯება შესაბამისი სასჯელით, კერძოდ პატიმრობით ან თავისუფლების აღკვეთის სხვა წესით.

ბ) ამ მუხლის წინა ქვეპუნქტში მოცემული დადგენილებების მიუხედავად, მხარეებს შეუძლიათ იმ პირების მიმართ, რომლებიც ბოროტად იყენებენ ნარკოტიკულ საშუალებებს და სჩადიან დანაშაულს, დასჯის ან დაპატიმრების მაგიერ, აგრეთვე, სასჯელის დამატებით ზომად გამოიყენონ ისეთი ზომები, როგორცაა მკურნალობა, აღზრდა, მათზე დაკვირვება მკურნალობის შემდეგ, შრომისუნარიანობის აღდგენა და მათი დაბრუნება შესაბამის საზოგადოებაში 38 - მუხლის 1 პუნქტის თანახმად.

2. მხრის კონსტიტუციური შეზღუდვები, საკანონმდებლო სისტემა და შიდა კანონები გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა:

ა)

i. ნებისმიერ დანაშაულს, რომელიც აღწერილია 1 პუნქტში, და თუ ისინი მომხდარია სხვადასხვა ქვეყნებში, განიხილება როგორც ცალკეული დანაშაული.

ii. რომელიმე ასეთ დანაშაულში წინასწარ განზრახული მონაწილეობა ან მონაწილეობა რაიმე ერთობაში ასეთი სახით დანაშაულის ჩასადენად ან დანაშაულის ჩადენის მცდელობის მიზნით, მოსამზადებელი სამუშაოები, ფინანსური ოპერაციები დაკავშირებული იმ დანაშაულებთან, რომლებიც ჩამოთვლილია ამ მუხლის 1 პუნქტში, განიხილება როგორც

დასასჯელი მოქმედება (იხ. 1 პუნქტი).

iii. უცხოური სასჯელის ასეთი დანაშაულისათვის მხედველობაში მიიღება რეციდივიზმის დადგენის მიზნით.

iv. ზემოთ ჩამოთვლილი სერიოზული დანაშაულები, თუ ისინი ჩადენილია ამ ქვეყნის მოქალაქეების მიერ, ან უცხოელების მიერ იქმნებიან სასამართლოს წესით დევნილი იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც ჩადენილ იქნა დანაშაული, ან რომლის ტერიტორიაზეც მოიძებნება დამნაშავე, როცა შეუძლებელია დამნაშავის გადაცემა იმ ქვეყნის კანონებით, რომელსაც მიმართავს ასეთი თხოვნით და თუ დამნაშავე ჯერ არ იქნა აყვანილი მართლმსაჯულების მიერ და განაჩენი მის მიმართ არ გამოტანილა;

ბ)

i. ნებისმიერი ზემოთ ჩამოთვლილი (პუნქტი 1 და 2) დანაშაულები უნდა იქნას შეტანილი ნებისმიერ ხელშეკრულებაში დამნაშავის გადაცემის შესახებ, რომელიც დადებულია მხარეებს შორის. მხარეები თავის მხრივ იღებენ ვალდებულებას ასეთი სახის დანაშაულები, რომლებსაც მოსდევს დამნაშავის გადაცემა, შეიტანონ მხარეებს შორის დადებულ ხელშეკრულებაში.

ii. თუ მხარე განაპირობებს დამნაშავის გადაცემას მხოლოდ არსებული ხელშეკრულების მიხედვით და მიიღებს თხოვნას დამნაშავის გადმოცემის შესახებ სხვა მხარისაგან, რომელთანაც არა აქვს დადებული ხელშეკრულება, მაშინ მას შეუძლია მხედველობაში მიიღოს ეს კონვენცია (ამ მუხლის 1 და მე -2 პუნქტებში ჩამოთვლილი დანაშაულების მიმართ) როგორც დამნაშავის გადაცემის საკანონმდებლო საფუძველი. დამნაშავის გადაცემა ხორციელდება სხვა პირობების შესაბამისად, რომლებიც გათვალისწინებულია იმ მხარის კანონმდებლობით, რომელსაც მიმართავენ თხოვნით გადმოცემის შესახებ.

iii. მხარეები, რომლებიც არ განაპირობებენ დამნაშავის გადაცემას ხელშეკრულების არსებობით, აღიარებენ ამ მუხლის 1 და მე -2 (ა) (ii) პუნქტებში ჩამოთვლილ დანაშაულებს, როგორც დამნაშავის გადაცემაზე დანაშაულს ურთიერთშორის, მომთხოვნი მხარის კანონის შესაბამისად.

iv. გადაცემა ნებადართულია იმ მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, რომელსაც მიმართავს თხოვნით დამნაშავის გადაცემის შესახებ და მიუხედავად (ბ) ქვეპუნქტით მიღებული დადგენილებისა, მოცემულ მხარეს უფლება აქვს უარი განაცხადოს დამნაშავის გადაცემაზე იმ შემთხვევებში, როცა ამ მხარის კომპეტენტური ხელისუფლება ჩათვლის ჩადენილ დანაშაულს არასაკმარისად სერიოზულად.

3. იურისდიქციის საკითხებში, დაინტერესებული მხარის სისხლის სამართლის დადგენილებებს გააჩნიათ უპირატესობანი მოცემული მუხლის დადგენილებებთან შედარებით.

4. ამ მუხლში მოცემული არცერთი დადგენილება არ შეეხება იმ პრინციპს, რომ დანაშაული, რომელსაც ის მიეკუთვნება, განისაზღვრება, იდევნება ან სასჯელი წაყენებული იქნება მხარის შიდა კანონის შესაბამისად.

მუხლი 37 კონფისკაცია

ნებისმიერი ნარკოტიკული საშუალება, ნივთიერება და ხელსაწყო, რომელიც გამოყენებულ იქნა დანაშაულის ჩასადენად (მუხლი 36) ექვემდებარება კონფისკაციას.

მუხლი 38 ნარკოტიკულ საშუალებათა ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის ზომები

1. მხარეები განსაკუთრებული ყურადღებას აქცევენ და ღებულობენ ყველა შესაძლო ზომებს, რომლებიც მიმართულია ნარკოტიკულ საშუალებათა ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების, დროულად გამოაშკარავების, მკურნალობის, აღზრდის, შრომისუნარიანობის აღდგენის, შესაბამის საზოგადოებაში დაბრუნების და მკურნალობის შემდეგ მათი მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნის მიზნით; აგრეთვე ახდენენ ძალის კოორდინირებას ამ მიზნების მისაღწევად.

2. მხარეები ხელს უწყობენ, რამდენადაც ეს შესაძლებელია კადრების მომზადებას მკურნალობის, შრომისუნარიანობის აღდგენის და შესაბამის საზოგადოებაში დაბრუნების მიზნით იმ პირთათვის, რომლებიც ნარკოტიკულ საშუალებებს ბოროტად იყენებენ; აგრეთვე ხელს უწყობენ მათი მკურნალობის დამთავრების შემდეგ დაკვირვების განხორციელებას.

3. მხარეები ყველა შესაძლო საშუალებას გამოიყენებენ იმ პირების დასახმარებლად, რომელთა სამუშაო მოითხოვს ნარკოტიკულ საშუალებათა ბოროტად გამოყენების და მათი თავიდან აცილების პრობლემების გაცნობას; და აგრეთვე მხარს დაუჭერენ ასეთი ინფორმაციის მიწოდებას საზოგადოებისათვის, თუ არსებობს რისკი, რომ ნარკოტიკული საშუალებების ბოროტად გამოიყენება ფართოდ იქნება გავრცელებული.

მუხლი 38 შეთანხმებები რეგიონალური ცენტრების შესახებ

თუ მხარე სასურველად ჩათვლის, რომ მისი ქმედება მიმართული ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ დაკავშირებულია მის კონსტიტუციურ, საკანონმდებლო და მმართველობით სისტემებთან და თუ იგი ასე მოისურვებს კომიტეტის ან სპეციალიზირებული სააგენტოების ტექნიკური რჩევით, იგი ხელს შეუწყობს რეგიონის სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების გზით შეთანხმებების დადებას, რომლებიც ითვალისწინებენ სამეცნიერო კვლევის და ნარკოტიკული საშუალებების უკანონო გამოყენებით და უკანონო ბრუნვით გამოწვეული პრობლემების წინააღმდეგ ბრძოლის საგანმანათლებლო რეგიონალური ცენტრების შექმნას.

მუხლი 39

ეროვნული კონტროლის უფრო მკაცრი ზომების გამოყენება,
ვიდრე ეს მოითხოვება ამ კონვენციით

ამ კონვენციის დადგენილებების მიუხედავად, მხარეებს არ შეეწინააღმდეგებიან ან არ ჩაითვლება საწინააღმდეგოდ ის ფაქტი, რომ მხარეები ღებულობენ კონტროლის უფრო მკაცრ ზომებს, ვიდრე მოცემული კონვენციით არის გათვალისწინებული და კერძოდ ითხოვენ, რომ “სია III”-ში შეტანილი პრეპარატები და “სია II”-ში ჩამოთვლილი ნარკოტიკული საშუალებები დაექვემდებაროს კონტროლის ყველა ან ისეთ ზომებს, რომელთაც ექვემდებარება “სია I”-ში აღნიშნული ნარკოტიკული საშუალებები, თუ მისი აზრით ეს აუცილებელია ან სასურველია საზოგადოების ჯანმრთელობის და კეთილდღეობის დაცვის მიზნით.

მუხლი 40³

კონვენციის ენები და რატიფიკაციის, ხელმოწერისა და
შეერთების პროცედურა

1. მოცემული კონვენცია, რომლის ინგლისური, ესპანური, ჩინური, რუსული და ფრანგული ტექსტები თანაბრად აუთენტურია, ღიაა ხელმოსაწერად 1961 წლის 1 აგვისტომდე გაეროს წევრი ქვეყნების, არაწევრი ქვეყნების, მაგრამ რომლებიც არიან საერთაშორისო სასამართლოს კანონმდებლობით აქტის მხარე ან გაეროს რომელიმე სპეციალიზირებული სააგენტოს წევრი, აგრეთვე სხვა რომელიმე სახელმწიფოსათვის ან რომელიმე სახელმწიფოს სახელით, რომელიც საბჭომ შეიძლება მოიწვიოს, რომ გახდეს მხარე.

³ სამდივნოს შენიშვნა: შემდეგი ორი პუნქტი გადმოღებულია ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ 1961 წლის ერთიანი კონვენციის წინასიტყვაობის შენიშვნიდან, რომელიც შესწორებებზე ოქმის სახით შევიდა ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ 1961 წლის ერთიანი კონვენციაში, როგორც დადგენილია 1972 წლის 25 მარტის ოქმის 22-ე მუხლის მიხედვით, გენერალური მდივნის მიერ 1975 წლის 8 აგვისტოს.

“ოქმი, რომლის მიხედვითაც შესწორებები შედის 1961 წლის ერთიანი კონვენციაში ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ, (შემდგომში მოხსენიებული, როგორც “1972 წლის ოქმი”), ძალაში შევიდა 1975 წლის 8 აგვისტოდან, მისი მე-18 მუხლის 1 პუნქტის თანახმად. სახელმწიფო, რომელიც უკვე არის ერთიანი კონვენციის მხარე და რატიფიცირების ან შეერთების შესახებ მეორმოცე დოკუმენტის, ან 1972 წლის ოქმის რატიფიცირების ან შეერთების შესახებ დოკუმენტის გენერალური მდივნისთვის შესანახად.

2. მოცემული კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას. რატიფიკაციის დოკუმენტი შესაძლებელია გადაეცემა გენერალურ მდივანს.

3. კონვენცია ღიაა შეერთებისათვის 1961 წლის 1 აგვისტოდან იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც აღნიშნულია 1 პუნქტში. შეერთების დოკუმენტი შესაძლებელია გადაეცემა გენერალურ მდივანს.

ჩაბარების დღიდან ეს უკანასკნელი ძალაში შედის ოცდამეათე დღეს (იხ.1972 წლის ოქმი. მუხლი 17 და 18).

“ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც ხდება ერთიანი კონვენციის მხარე, 1972 წლის ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ, თუ მას არ გააჩნია სხვაგვარი განზრახვა: ა) განიხილება, როგორც იმ ერთიანი კონვენციის მხარე, რომელშიც შეტანილია ცვლილებები; ბ) განიხილება, როგორც იმ ერთიანი კონვენციის მხარე, რომელშიც არ არის შეტანილი ცვლილებები, ამ კონვენციის ნებისმიერ მხარესთან მიმართებაში, რომელიც არ არის დაკავშირებული 1972 წლის ოქმთან. (იხ.1972 წლის ოქმი, მუხლი 19).

მუხლი 41⁴ ძალაში შესვლა

1. კონვენცია ძალაში შევა ოცდამეათე დღეს მას შემდეგ, რაც მე-40 მუხლის თანახმად რატიფიკაციის ან შეერთების მეორმოცე დოკუმენტი გადაცემული იქნება დეპოზიტარისათვის.

2. თითოეული სხვა სახელმწიფოსათვის, რომლებმაც ჩააბარეს რატიფიკაციის ან შეერთების მეორმოცე დოკუმენტი დეპოზიტარს, მე-40 მუხლის თანახმად კონვენცია ძალაში შევა ოცდამეათე დღეს ამ სახელმწიფოების მიერ რატიფიკაციის ან შეერთების დოკუმენტის დეპოზიტარისათვის ჩაბარების დღიდან.

⁴იხ. შენიშვნა 3

მუხლი 42 ტერიტორიული გამოყენება

მოცემული კონვენცია გამოიყენება ყველა იმ ტერიტორიის მიმართ, რომლებიც არიან მეტროპოლიის გარეშე, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზე პასუხს აგებს ნებისმიერი მხარე. იმ შემთხვევების გარდა, რაც ასეთი ტერიტორიის მიერ წინასწარ თანხმობას მოითხოვს ამ მხარის, დაინტერესებული ქვეყნის კონსტიტუციით, ან როცა ამას ითხოვს საბაჟო. ამ შემთხვევაში მხარე ცდილობს უზრუნველყოს დაინტერესებული ტერიტორიის თანხმობა შესაძლებლობისამებრ მოკლე ვადაში და ამ თანხმობის მიღებისთანავე აცნობებს გენერალურ მდივანს. მოცემული კონვენცია გამოიყენება იმ ტერიტორიების ან ტერიტორიის მიმართ, რომლებიც აღნიშნულია ასეთ შეტყობინებაში. მისი გენერალური მდივანის

მიერ მიღების დღიდან. იმ შემთხვევაში, როცა მეტროპოლიის გარე ტერიტორიის ან შეერთების ხელმოწერის მომენტში მიუნიშნებს იმ მეტროპოლიის გარე ტერიტორიას ან ტერიტორიებს, სადაც ეს კონვენცია გამოიყენება.

მუხლი 43

ტერიტორიის ცნება მე-19, მე-20, 21-ე და 31-ე მუხლების დადგენილებების მიზნებისათვის

1. ყველა მხარეს შეუძლია შეატყობინოს, რომ მე-19, მე-20, 21-ე და 31-ე მუხლების მიზნებისათვის, რომ ერთ-ერთი მათი ტერიტორიათაგანი გაყოფილია ორ ან რამდენიმე ტერიტორიად, ან რომ ორი ან რამოდენიმე ტერიტორია გაერთიანებულია ერთში.

2. ორ რამდენიმე მხარეს შეუძლია შეატყობინონ გენერალურ მდივანს, რომ მათ შორის საბაჟოების გაერთიანების შედეგად, ეს მხარეები მე-19, მე-20, 21-ე და 31-ე მუხლების მიზნებისათვის შეადგენენ ერთიან ტერიტორიას.

3. ამ მუხლის 1 და მე-2 პუნქტების თანახმად, ყველა შეტყობინება შესაბამისად ძალაში შედის მომდევნო წლის 1 იანვრიდან.

მუხლი 44

წინა საერთაშორისო ხელშეკრულებების მოქმედების შეწყვეტა

1. მოცემული კონვენციის დადგენილებები მისი ძალაში შესვლიდან შეენაცვლებიან შემდეგ ხელშეკრულებებს, რომლებიც შესაბამისად კარგავენ ძალას. ესენია:

ა) “საერთაშორისო კონვენცია ოპიუმის შესახებ”, ხელმოწერილია ჰააგაში 1912 წლის 23 ივნისს;

ბ) “შეთანხმება დამზადების, შიდა ვაჭრობის და დამზადებული ოპიუმის გამოყენების შესახებ”, ხელმოწერილია ჟენევაში 1925 წლის 11 თებერვალს;

გ) “საერთაშორისო კონვენცია ოპიუმის შესახებ”, ხელმოწერილია ჟენევაში 1925 წლის 19 თებერვალს;

დ) “კონვენცია ნარკოტიკული საშუალებების დამზადების შეზღუდვისა და განაწილების რეგულირების შესახებ” ხელმოწერილია ჟენევაში 1931 წლის 13 ივლისს;

ე) შეთანხმება შორეულ აღმოსავლეთში ოპიუმის მოწევაზე კონტროლის დაწესების შესახებ”, ხელმოწერილია ბანგკოკში 1931 წლის 27 ნოემბერს;

ვ) “ოქმი ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ არსებულ შეთანხმებებში და კონვენციებში ცვლილებების შეტანის მიზნით”, რომელიც შეეხება 1912 წლის ჰააგის, 1925 წლის, 1931 წლის და 1936 წლის

ჟენევაში და 1931 წელს ბანკონგში ხელმოწერილ შეთანხმებებს და კონვენციებს. გამონაკლისს წარმოადგენს ამ ოქმის 1936 წლის ჟენევის კონვენციის მიმართ მოქმედება; ოქმი ხელმოწერილია ლეიკსაქსესში 1946 წლის 11 დეკემბერს.

ზ) (ა), (ბ) და (გ) ქვეპუნქტებში აღნიშნული კონვენციები და შეთანხმებები, რომლებშიც 1946 წლის ოქმის მიხედვით (ქვეპუნქტი (ვ)) შესულია ცვლილებები;

თ) “ოქმი ნარკოტიკულ საშუალებებზე საერთაშორისო კონტროლის შესახებ”, ხელმოწერილია პარიზში 1948 წლის 19 ნოემბერს. ეს დოკუმენტი არ შევიდა 1931 წლის 13 ივლისს “ნარკოტიკულ საშუალებათა წარმოების შეზღუდვის და განაწილების რეგლამენტირების შესახებ” კონვენციის მოქმედების სფეროში, რომელშიც ცვლილებები შეტანილ იქნა 1946 წელს ლეიკსაქსესში ხელმოწერილ ოქმში;

ი) ოქმი “მცენარე ხაშხაშის კულტივირების შეზღუდვასა და რეგულირებაზე და ოპიუმის წარმოების, საერთაშორისო და საბითუმო ვაჭრობის და მისი მოხმარების შესახებ”, ხელმოწერილია ნიუ-იორკში 1953 წლის 23 ივნისს.

2. ამ კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ, სახიფათო ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვის აკრძალვის შესახებ კონვენციის (ხელმოწერილია ჟენევაში 1936 წლის 26 ივნისს) მე-9 მუხლი კარგავს ძალას იმ მხარეებს შორის, როლებიც არიან აგრეთვე ამ კონვენციის მხარეები და ჩანაცვლებულ იქნება ამ კონვენციის 36-ე მუხლის 2 (ბ) პუნქტით, სადაც გათვალისწინებულია, რომ ასეთ მხარეს შეუძლია შეტყობინების საფუძველზე შეინარჩუნოს ძალაში ხსენებული მე-9 მუხლი.

მუხლი 45⁵

გარდამავალი დადგენილებები

1. 41-ე მუხლის 1 პუნქტის თანახმად, მოცემული კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან კომიტეტის მე-9 მუხლით გათვალისწინებული ფუნქციები დროებით შესრულებულ იქნება მუდმივი ცენტრალური კომიტეტის მიერ, რომელიც შექმნილია 44-ე მუხლის (გ) ქვეპუნქტში აღნიშნული კონვენციის VI თავის თანახმად და აგრეთვე საზედამხედველო ორგანოს მიერ, რომელიც შექმნილია 44-ე მუხლის (დ) ქვეპუნქტში აღნიშნული კონვენციის II თავის მიხედვით, მათი ფუნქციების მოთხოვნების შესაბამისად.

2. საბჭო აფიქსირებს მე-9 მუხლის თანახმად ახალი კომიტეტის მიერ მუშაობის დაწყების თარიღს. ამ დღიდან მოყოლებული კომიტეტი თავისთავზე იღებს მუდმივი ცენტრალური კომიტეტის და საკონტროლო ორგანოს ფუნქციების შესრულებას იმ სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც 44-ე მუხლში ჩამოთვლილი ხელშეკრულებების მხარეები არიან, მაგრამ არ არიან მოცემული კონვენციის მხარეები.

⁵ ქვემოთ მოცემულია 1972 წლის ოქმის მე-20 მუხლის ტექსტი:

მუხლი 20
გარდამავალი დადგენილებები

1. ნარკოტიკულ საშუალებათა კონტროლის საერთაშორისო კომიტეტის ფუნქციები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ ოქმის შესწორებებში, მისი მე-18 მუხლის 1 პუნქტის თანახმად, შესრულებულ იქნება ამ კომიტეტის მიერ ოქმის ძალაში შესვლის დღიდან, როგორც დადგენილია ერთიან კონვენციაში შესწორებების გარეშე.

2. ეკონომიკური და სოციალური საბჭო დააფიქსირებს იმ დღეს, როცა კომიტეტი, როგორც ეს დადგენილია ამ ოქმის შესწორებებით, შეუდგება თავისი მოვალეობების შესრულებას. იმ დღიდან კომიტეტი თავის თავზე აიღებს დადგენილებისამებრ, შესწორებების გარეშე ერთიანი კონვენციის მიხედვით შექმნილი კომიტეტის ფუნქციების შესრულებას, შესწორებების გარეშე ერთიანი კონვენციის მხარეებთან და 44-ე მუხლში ჩამოთვლილი ხელშეკრულებების მხარეებთან მიმართებაში.

მუხლი 46
დენონსაცია

1. კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან 2 წლის შემდეგ (მუხლი 41, პუნქტი 1), ყოველ მხარეს, როგორც თავისი, ისე ტერიტორიის სახელით, რომელზედაც ის პასუხს აგებს საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე და რომელმაც უარი განაცხადა 42-ე მუხლის შესაბამისად მიცემულ თანხმობაზე, შეუძლია ამ კონვენციის დენონსირება წერილობით დოკუმენტით, რასაც შესაძლებელია გადასცეს გენერალურ მდივანს.

2. თუ დენონსაციის დოკუმენტი მიღებულია გენერალური მდივანის მიერ რომელიმე წლის 1 ივლისს ან უფრო ადრე, იგი ძალაში შედის მომდევნო წლის 1 იანვრიდან. ხოლო თუ ის მიღებულია 1 ივლისის შემდეგ, მაშინ ძალაში შედის ისეთივე წესით, როგორც 1 ივლისს ან 1 ივლისამდე მიღებული დოკუმენტი.

3. კონვენციის მოქმედება წყდება, თუ 1 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი დენონსაციის შედეგად, მისი ძალაში შესვლისათვის აუცილებელი პირობები (მუხლი 41, პუნქტი 1) აღარ არსებობს.

მუხლი 47
ცვლილების შეტანა

1. ნებისმიერ მხარეს შეუძლია გააკეთოს კონვენციაში ცვლილებების შეტანა. შესატანი ცვლილებების ტექსტი და მათი საფუძველი მიეწოდება გენერალურ მდივანს, რომელიც ატყობინებს საბჭოს და მხარეებს; საბჭოს შეუძლია დაადგინოს:

ა) ან გაეროს წესდების მუხლი 62, პუნქტი 4-ის შესაბამისად მოწვეულ იქნას კონფერენცია შესწორებების განხილვის მიზნით;

ბ) ან ჩაატაროს მხარეების გამოკითხვა, იღებენ თუ არა ისინი შეთავაზებულ შესწორებებს და აგრეთვე სთხოვს მათ წარუდგინონ საბჭოს შენიშვნები აღნიშნულ შესწორებებზე.

2. თუ წარმოდგენილი შესწორება, რომელიც შენიშვნებისათვის დაეგზავნათ მხარეებს ამავე მუხლის 1(ბ) პუნქტის თანახმად, არ იქნება უარყოფილი არცერთი მხარის მიერ 18 თვის განმავლობაში მის დაგზავნის დღიდან, მაშინ იგი ძალაში შედის. თუ აღნიშნულ შესწორებებს უარყოფს რომელიმე მხარე, საბჭოს შეუძლია გადაწყვიტოს მხარეებისაგან მიღებული შენიშვნების გათვალისწინებით მოწვეულ იქნას თუ არა კონფერენცია ამ შენიშვნების განხილვის მიზნით.

მუხლი 48 სადაო საკითხები

1. კამათის წარმოქმნის შემთხვევაში ორ ან რამდენიმე მხარეს შორის კონვენციის განმარტების ან გამოყენების გამო, ეს მხარეები ატარებენ კონსულტაციებს ურთიერთშორის კამათის რეგულირების თვალსაზრისით მოლაპარაკების, გამოძიების, შუამდგომლობის, არბიტრაჟის შერიგების, რეგიონალურ ორგანოებთან მიმართვის, სასამართლო გარჩევის გზით ან სხვა მშვიდობიანი საშუალებით.

2. ნებისმიერი ასეთი კამათი, რომლის გადაწყვეტა შეუძლებელი ხდება 1 პუნქტში ჩამოთვლილი მეთოდების მიხედვით გადაწყვეტილების გამოტანის მიზნით გადაეცემა საერთაშორისო სასამართლოს.

3. რაც შეეხება იმ წევრებს, რომლებიც არჩეული არიან პირველი არჩევნებით, კომიტეტის წევრების რაოდენობის თერთმეტიდან ცამეტამდე გაზრდის შემდეგ, ექვსი წევრის უფლებამოსილების ვადა იწურება სამი წლის შემდეგ, ხოლო დანარჩენი შვიდი წევრისა კი – ხუთი წლის შემდეგ.

4. კომიტეტის წევრები, რომელთა უფლებამოსილების ვადა (როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული) იწურება სამი წლის შემდეგ არჩეულ იქნებიან გენერალური მდივნის მიერ ჩატარებული კენჭისყრით პირველი არჩევნების დასრულებისთანავე.

მუხლი 49 გარდამავალი დათქმები

1. ხელმოწერის, რატიფიკაციის ან შეერთების შემთხვევაში ყოველ მხარეს შეუძლია დაიტოვოს უფლება თავის ტერიტორიაზე დროებით დაუშვას:

- ა) ოპიუმის სამედიცინო მიზნით მოხმარება;
- ბ) ოპიუმის მოწევა;
- გ) კოკას ფოთლების დეჰვა;
- დ) კანაბასის, კანაბასის ფისის, კანაბასის ექსტრაქტების და ნაყენების არასამედიცინო მიზნებით გამოყენება;

ე) (ა), (ბ), (გ) და (დ) პუნქტებში აღნიშნული ნარკოტიკული საშუალებების წარმოება, დამზადება და ვაჭრობის ზემოთ მოცემული პუნქტებში აღნიშნული მიზნით;

2.1 პუნქტში მოცემული დათქმები შეიძლება გახდეს შემდეგი შეზღუდვების საბაზი:

ა) 1 პუნქტში მოცემული მოქმედების ტიპები შეიძლება დაშვებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ისინი ტრადიციულად არიან დამკვიდრებული ამ ტერიტორიაზე, რის გამოც გაკეთდა მასზე დათქმა და იგი დაშვებულია 1961 წლის 1 იანვრიდან;

ბ) ნარკოტიკული საშუალებების ექსპორტი არ დაიშვება 1 პუნქტში მოცემული მიზნებისათვის, ქვეყანაში, რომელიც არ არის ამ კონვენციის მხარე ან ისეთ ტერიტორიაზე, სადაც კონვენცია არ ვრცელდება 42-ე მუხლის შესაბამისად;

გ) ოპიუმის მოწევის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც რეგისტრირებული არიან კომპეტენტური უწყების მიერ 1964 წლის 1 იანვარს;

დ) ოპიუმის კვაზის სამედიცინო მიზით მოხმარება უნდა შეწყდეს 15 წლის განმავლობაში კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან, როგორც ეს აღნიშნული იყო 41-ე მუხლის 1 პუნქტში;

ე) კოკას ფოთლების ღეჭვა უნდა შეწყდეს 25 წლის განმავლობაში, მოცემული კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან, როგორც ეს აღნიშნულია 41-ე მუხლის 1 პუნქტში;

ვ) კანაბასის გამოყენება არასამედიცინო და არასამეცნიერო მიზნით უნდა შეწყდეს რაც შეიძლება მალე, მაგრამ აუცილებლად 25 წლის განმავლობაში კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან, როგორც ეს 41-ე მუხლის 1 პუნქტშია აღნიშნული;

ზ) ნარკოტიკული საშუალებების დამზადება და წარმოება, ვაჭრობა და მათი ნებისმიერი სახით გამოყენება, რომელიც 1 პუნქტშია აღნიშნული, შემცირებულ და საბოლოოდ აღკვეთილ უნდა იქნას.

3. დამთქმელ მხარეს 1 პუნქტის თანახმად:

ა) თავის წლიურ მოხსენებაში, რომელიც უნდა წარუდგინოს გენერალურ მდივანს შეაქვს (მუხლი 18, პუნქტი 1, 1 (ა) შესაბამისად გასულ წელს მიღწეული პროგრესის ამსახველი ანგარიში, რომელიც შეეხება ქმედებებს ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების, წარმოების დამზადების და ვაჭრობის შეწყვეტას (პუნქტი 1).

ბ) წარუდგენენ კომიტეტს ცალკეულ ანგარიშებს (მუხლი 19) და სტატისტიკურ მონაცემებს (მუხლი 20), რომელიც ეხება დათქმული მოქმედების სახეებს კომიტეტის მიერ დადგენილი წესით და ფორმით.

4. ა) თუ დამთქმელმა მხარემ არ წარადგინა:

ი. მე-3 (ა) ქვეპუნქტში აღნიშნული მოხსენება ექვსი თვის განმავლობაში იმ წლის დასრულების შემდეგ, რომელსაც ეს

- ინფორმაცია ეკუთვნის;
- ii. მე-3 (ბ) ქვეპუნქტში აღნიშნული ანგარიშები ამ მიზნით კომიტეტის მიერ დაფიქსირებული თარიღიდან 3 თვის განმავლობაში მე-12 მუხლის 1 პუნქტის თანახმად;
 - iii. მე-3 (ბ) ქვეპუნქტში აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები, სამი თვის განმავლობაში იმ ვადის შემდეგ, რომელიც ამ მიზნით კომიტეტმა დაადგინა მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად;

კომიტეტი ან გენერალური მდივანი არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, დაუგზავნიან შეტყობინებას დაგვიანების შესახებ მხარეებს და ითხოვს საჭირო მასალების წარმოდგენის სამი თვის განმავლობაში შეტყობინების მიღების დღიდან;

ბ) თუ მხარე აღნიშნულ მოთხოვნას ვერ შეასრულებს კომიტეტის და გენერალური მდივნის მიერ მითითებულ დროში 1 პუნქტის მიხედვით გაკეთებული დათქმა კარგავს ძალას.

5. ქვეყანას, რომელმაც გააკეთა დათქმა შეუძლია ნებისმიერ დროს წერილობითი შეტყობინებით უარი თქვას თავის მიერ წარმოდგენილ ყველა დათქმაზე ან მათ გარკვეულ ნაწილზე.

მუხლი 50⁶ სხვა დათქმები

1. არც ერთი დათქმა არ დაიშვება, გარდა იმ დათქმებისა, რომლებიც შეესაბამება 49-ე მუხლს ან ქვემოთ ჩამოთვლილ დადგენილებებს.

2. ხელმოწერის, რატიფიცირების და შეერთების დროს ყველა სახელმწიფოს შეუძლია დათქმის გაკეთება ქვემოთ მოცემული დადგენილებებიდან გამომდინარე;

მუხლი 12, პუნქტი 2 და 3;

მუხლი 13, პუნქტი 2;

მუხლი 14, პუნქტი 1 და 2;

მუხლი 31, პუნქტი 1 (ბ);

მუხლი 48.

3. სახელმწიფო, რომელსაც უნდა გახდეს მხარე, მაგრამ სურს იქონიოს დათქმაზე უფლებამოსილება, რომელიც ამ მუხლის მე-2 პუნქტის ან 44-ე მუხლით არ არის გათვალისწინებული, მან უნდა აცნობოს ასეთი განზრახვის შესახებ გენერალურ მდივანს. თუ გენერალური მდივნისაგან მიღებული შეტყობინების დღიდან თორმეტი თვის შემდეგ, ეს დათქმა არ იქნა უარყოფილი სახელმწიფოების 1/3-ის მიერ, რომლებმაც მოახდინეს კონვენციის რატიფიცირება ან შეუერთდნენ მას ამ პერიოდის დასრულებამდე, მაშინ მას უფლება ეძლევა ამაზე, იმ პირობით, რომ წინააღმდეგ გამოსული ქვეყნები არ არიან ვალდებული თავის თავზე აიღონ ამ კონვენციით დაკისრებული ნებისმიერი იურიდიული ვალდებულება დათქმის მომხრე სახელმწიფოს მიმართ.

4. სახელმწიფოს, რომელმაც გააკეთა დათქმა, შეუძლია ნებისმიერ დროს წერილობითი შეტყობინებით უარი თქვას მის მიერ წარმოდგენილ ყველა დათქმაზე ან მათ გარკვეულ ნაწილზე.

⁶ ქვემოთ წარმოდგენილია 1972 წლის ოქმის 21-ე მუხლის ტექსტი:

მუხლი 21
დათქმები

1. ამ ოქმზე ხელმოწერის, რატიფიკაციის ან შეერთების მომენტში, ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია გააკეთოს დათქმა მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილების შესახებ გარდა ქვემოთ ჩამოთვლილისა: მუხლი 2, პუნქტი 6 და 7 (ამ ოქმის მუხლი 1); მუხლი 9, პუნქტი 1,4 და 5 (ამ ოქმის მე-2 მუხლი); მუხლი 10, პუნქტი 1 და 4 (ამ ოქმის მე-3 მუხლი); მუხლი 11 (ამ ოქმის მე-4 მუხლი); მუხლი 14 ბის (ამ ოქმის მე-7 მუხლი); მუხლი 16 (ამ ოქმის მე-8 მუხლი); მუხლი 22 (ამ ოქმის მე-12 მუხლი); მუხლი 35 (ამ ოქმის მუხლი 13); მუხლი 36, პუნქტი 1 (ბ) (ამ ოქმის მე-14 მუხლი); მუხლი 38 (ამ ოქმის მე-15 მუხლი) და მუხლში 38 ბის (ამ ოქმის მე-16 მუხლი)*.

2. სახელმწიფოს, რომელმაც გააკეთა დათქმა, შეუძლია ნებისმიერ დროს წერილობითი შეტყობინებით უარი თქვას მის მიერ წარმოდგენილ ყველა დათქმაზე ან მათ გარკვეულ ნაწილზე.

* სამდივნოს შენიშვნა: ქვემოთ მოყვანილი განმარტებითი შენიშვნა გადმოღებულია გენერალური მდივნის მიერ 1975 წლის 8 აგვისტოს დადგენილი, ხელმოწერით დადასტურებული 1972 წლის ოქმის – 1961 წლის ერთიან კონვენციაში ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ შეტანილი ცვლილებების შესახებ – ორიგინალიდან:

“უნდა აღინიშნოს, რომ 1972 წლის ოქმის, ზემოთ აღნიშნული 21-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფოები, რომელთაც სურთ დათქმის გაკეთება ერთ ან რამდენიმე შესწორებაზე, პირველ რიგში უნდა გახდნენ შესწორებების გარეშე ერთიანი კონვენციის მხარეები (თუ ეს ჯერ არ გაუკეთებიათ) და შემდეგ მოახდინონ რატიფიცირება ან შეუერთდნენ 1972 წლის ოქმს, რომლებზეც სურთ დათქმის გაკეთება.

მუხლი 51
შეტყობინება

მე-40 მუხლის 1 პუნქტის თანახმად, გენერალური მდივანი ყველა ქვეყანას ატყობინებს:

ა) ხელმოწერის, რატიფიცირების და შეერთების შესახებ, კონვენციის მე-40 მუხლის თანახმად;

ბ) კონვენციის ძალაში შესვლის შესახებ, 41-ე მუხლის თანახმად;

გ) დენონსაციების შესახებ, კონვენციის 46-ე მუხლის თანახმად;

დ) განცხადებების, შეტყობინებების შესახებ, 42, 43, 47, 49 და 50 მუხლების თანახმად.

სიები *

ნარკოტიკული საშუალებათა ნუსხა, რომლებიც შეტანილია სია I-ში

აცეტორფინი (3-0-აცეტილტეტრაჰიდრო 7 a –
(1-ჰიდროქსი-1-მეთილბუთილი)-6,14-ენდოთენოორიპავინი).

აცეტილმეტადოლი (3 აცეტოქსი-6-დიმეთილამინო-4,4-დიფენილჰეპტანი)

ალილპროდინი (3-ალილ-1-მეთილ-4-ფენილ-4-პროპიონოქსიპიპერიდინი)

ალფაცეტილმეტადოლი(ალფა-3-აცეტოქსი-6-დიმეთილამინო-,4დიფენილჰეპტანი)

ალფამეპროდინი(ალფა-3-ეთილ-1-მეთილ-4-ფენილ-4-პროპიონოქსიპიპერიდინი)

ალფამეტადოლი (ალფა-6-დიმეთილამინი-4,4-დიფენილ-3-ჰეპტანოლი)

ალფაპროდინი (ალფა-1,3-დიმეთილ-4-ფენილ-4-პროპიონოქსიპიპერიდინი)

ანილერიდინი(1-პარა-ამინოფენეტილ-4ფენილპიპერიდინ-4-კარბონმჟავას ეთილის ეთერი)

ბენზეტიდინი(1-(2-ბენზილოქსიეთილ)-4-ფენილპიპერიდინ-4-კარბონმჟავას ეთილის ეთერი)

ბენზოლმორფინი (3-ბენზოლმორფინი)

ბატაცეტამილმეტადოლი(ბეტა-3-აცეტოქსი-6-დიმეთილამინო-4,4-დიფენილჰეპტანი)

ქ ე ტ ა მ ე პ რ ო დ ი ნ ი
(ბეტა-3-ეთილ-1-მეთილ-4-ფენილ-4-პროპიონოქსიპიპერიდინი)

ბეტამეტადოლი (ბეტა-6-დიმეთილამინო-4,4-დიფენილ-3ჰეპტანოლი)

ბეტაპროდინი (ბეტა-1,3-დიმეთილ-4-ფენოლ-4-პროპიონოქსიპიპერიდინი)

ბ ე ნ ზ ი ტ რ ა მ ი დ ი
(1-(3-ციანო-3,3-დიფენილპრორილ)-4-(2-ოქსო-3-პროპიონილ-1-ბენზიმიდაზოლინილ-პიპერიდინ)

კანაბისი, კანაბისის ფისი და ექსტრაქტი, კაბაბისი ნაყენი.

კლონიტაზენი(2-პარა-ქლორბენზილ-1 დიეთილამინოეთილ-5 ნიტრობენზიმიდაზოლი)

კოკას ფოთლები

კოკინი (ბენზოილეკგონინის მეთილის ეთერი)

კოდოქსიმი (დიჰიდროკოდეინონ-6-კარბოქსიმიტილოქსიმი)

ხაშხაშის ნაჯამის კონცენტრატი (მასალა, რომელიც მიიღება ხაშიშის ნამჯის დამუშავების პროცესში მასში შემავალი ალკალოიდების კონცენტრირების მიზნით თუ ეს მასალა ხდება ვაჭრობის საგანი)

დეზომორფინი (დიჰიდროდეზოქსი მორფინი)

დ ე ქ ს ტ რ ო მ ო რ ა მ ი დ ი
(+)-4-[(2-მეთილ-4-ოქსო-3,3-დიფენილ-4-(1-პიროლიდინილ) ბუთილ]მორფოლინი)

ბუთილ]მორფოლინი)

დიამპრომიდი (N-[2-(მეთილფენეთილამინო) პროპილ]პროპიონანილიდი)
დიეთილთიამბუთენი (3-დიეთილამინო-1,1-დი-(2-თიენილ)-1-ბუთენი)
დიფენოქსინი (1-(3-ციანო-3,3-დიფენილპროპილ)-4-ფენილიზონიპეკოტინ
მჟავა)

დიჰიდრომორფინი

დიმეპჰეპტანოლი (6-დიმეთილამინო-4,4-დიფენი-3-ჰეპტანოლი)

დიმეთილამინოეთილ-1-ეთოქსი-1,1-დიფენილაცეტატი

დიმეთილთიამბუთენი (3-დიმეთილამინო-1,1-დი-(2'-თიენილ)-1-ბუთენი)

დიოქსაფეტოლი ბუთირატი (ეთილ

4-მორფოლინო-2,2-დიფენილბუთირატი)

დიფენილპროპილ-4-ფენილპიპერიდინ-4-კარბონმჟავის

ეთილის ეთერი)

*სამდივნოს შენიშვნა მოცემულ დოკუმენტში აღწერილი I-IV სიები შეიცავენ არა მარტო ნივთიერებებს, რომლებიც შეტანილ იქნა გაეროს კონფერენციაზე, 1962 წლის “ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ ერთიანი კონვენციის” მისაღებად, არამედ ყველა ცვლილებებს, შეტანილს ამ სიებში (1976 წლის მდგომარეობის მიხედვით), რომლებიც მიღებული იყო ნარკოტიკული საშუალებების კომისიის მიერ, 1961 წლის კონვენციის დებულების მე-3 მუხლის შესაბამისად (სიების ორიგინალი იხილეთ E/CONF.34/24/Add.1). სამდივნომ აგრეთვე შეიტანა ზოგიერთი უმნიშვნელო გასწორება რამოდენიმე ქიმიური ნაერთის დასახელებაში, რომელიც I –V სიებშია მოთავსებული.

დიპიპანონი (4,4-დიფენილ-6-პიპერიდინ-3-ჰეპტანონი)

დროტეპანოლი (3,4-დიმეტოქსი-17-მეთილმორფინინ-6B(ბეტა),14-დიოლი)

ეკგონინი მისი რთული ეთერები და წარმოებულებები, რომლების გარდაქმნა შესაძლებელია კუგონინად და კოკაინად

ეთილმეთილთიამბუთენი (3-ეთილმეთილამინო-1, 1-დი-(2-თიენილ)-1-ბუთენი)

ეთონითაზენი(1-დიეთილამინოეთილ-2-პარა-ეთოქსიბენზილ-5-ნიტრობენზიმიდაზოლი)

ეთოქსი-1-მეთილმორფინი

(ტეტრაჰიდრო-7a(ალფა)-1-ჰიდროქსი-1-მეთილბუთილ-6,14-ენდოეთენოლი პავინი)

ეთოქსერიდინი 1-(2-[2-ჰიდროქსიეთოქსი]ეთილ)-4-ფენილპიპერიდინ-4-კარბონმჟავის ეთილის ეთერი)

ფენტანილი (1-ფენეტილ-4-N-პროპიონილანილინოპიპერიდინი)

ფურფურილი (1-(2-ტეტრაჰიდროფურფურილოქსიეთილ)-4-ფენილპიპერიდინ-4-კარბონმჟავის ეთილის ეთერი)

ჰეროინი (დიაცეტილმორფინი)

ჰიდროკოდონი დიჰიდროკოდენონი)
ჰიდრომორფინოლი (14-ჰიდროქსიდიჰიდრომორფინი)
ჰიდრომორფონი (დიჰიდრომორფინონი)
ჰიდროქსიპეტიდინი(4-მეტა-ჰიდროქსიფენილ-1-მეთილპიპერიდინ-4-კარბონმჟავას ეთილის ეთერი)
იზომეთადონი (6-დიმეთილამინო-5-მეთილ-4,4-დიფენილ-3-ჰექსანონი)
კეტოზემიდონი
(4-მეტა-ჰიდროქსიფენილ-1-მეთილ-4-პროპიონილპიპერიდინი)
ლევომეტორფანი* ((-)-ჰიდროქსი-N-მეტრომორფინანი)
ლევომორამიდი((-)-4[2-მეთილ-4-ოქსო-3,3-დიფენილ-4([1-პიროლიდინილ) ბუთილ] მორფოლინი)
ლევოფენაცელმორფინი ((-)-3-ჰიდროქსი-N-ფენაცელმორფინი)
ლევორფანოლი* ((-)-ჰიდროქსი-N-მეთილმორფინანი)
მეტაზოცინი (2'-ჰიდროქსი-2,5,9-ტრიმეთილ-6,7-ბენზომორფანი)
მეტადონი(6-დიმეთილამინო-4,4-დიფენილ-3-ჰექსანონი)
მეტადონის შუალედური პროდუქტი
(4-ციანო-2-დიმეთილამინო-4,4-დიფენილბუტანი)
მეთილდეზორფინი (6-მეთილ-დელტა-6-დეოქსიმორფინი)
მეთილდიჰიდრომორფინი (6-მეთილდიჰიდრომორფინი)
მეთოპონი (5-მეთილდიჰიდრომორფინი)
შუალედური მორამიდი (2-მეთილ-3-მორპოლინო-1,1-დიფენილპროპანი კარბოქსილ მჟავა)
მორფერიდინი(1-(2-მორფოლინოეთილი)-4-ფენილპიპერიდინი-4-კარბოქსილიციის მჟავა ეთილ ეთერი)
მორფინი
მორფინ მეთობრომიდი და ხუთვალენტური აზოტის მორფინის ნაერთი
მორფინის აზოტის ოქსიდი
მიროფანი (დიმეთილმორფინი)
ნორპიპანონი (4,4-დიფენილ-1-6-პიპერიდინ-3-ჰექსანონი)
ოპიუმი
ოქსიკოდონი (14-ჰიდროქსიდიჰიდროკოდენონი)
ოქსიმორფინი (14-ჰიდროქსიდიჰიდრომორფინონი)
პეტიდინი (1-მეთილ-4-ფენილპიპერიდინი-4-კარბოქსილიციის მჟავა ეთილ ესტერი)
შუალედური პეტიდინი A (4-ციანო-1-მეთილ-4-ფენილპიპერიდინი)
შუალედური პეტიდინი B (4-ფენილპიპერიდინი-4-კარბოქსილიციის მჟავა ეთილ ეთერი)
შუალედური პეტიდინი C (1-მეთილ-4-ფენილპიპერიდინი-4-კარბოქსილ მჟავა ეთილ ეთერი)
ფენადოქსონი (6-მორფოლინო-4,4-დიფენილ-3-ჰექსანონი)
ფენამპრომიდი (N-(1-მეთილ-2-პიპერიდინოეთილ) პროპიონანილიდი)
ფენაზოსინი (2'-ჰიდროქსი-5,9-დიმეთილ-2-ფენეთილ-6,7-ბენზომორფანი)
ფენომორფანი (3-ჰიდროქსი-N-ფენეთილმორფინანი)
ფენოპერიდინი

(1-(3-ჰიდროქსი-3-ფენილპროპილი)-4-ფენილპიპერიდინი-4-კარბოქსილ მჟავა ეთილ ეთერი)
პიმინოდინი (4-ფენილ-1-(3-ფენილამინოპროპილი) პიპერიდინი-4-კარბოქსილ მჟავა ეთილ ეთერი)
პ ი რ ი ტ რ ა მ ი დ ი
(1-(3-ციანო-3,3-დიფენილპროპილი)-4-(1-პიპერიდინო)-პიპერიდინი-4-კარბოქსილ მჟავის ამიდი)
პროჰეპტაზინი (1,3-დიმეთილ-4-ფენილ-4-პროპიონოქსიაზასიკლოჰეპტანი)
პროპერიდინი (1-მეთილ-4-ფენილპიპერიდინი-4-კარბოქსილ მჟავა იზოპროპილ ეთერი)
რაცემეტროფანი ((+)-3-მეთოქსი-N-მეთილმორფინანი)
რაცემორამიდინი((+)-[2-მეთილ-4-ოქსო-3,3-დიფენილ-4-(1-პიროდინილი) ბუთილ]მორფოლანი)
რაცემორფანი ((+)-3-ჰიდროქსი-N-მეთილმორფინანი)
ტეზაკონი (აცეტილდიჰიდროკოდეონი)
ტეზანი
ტრიმეპერიდინი (1,2,5-ტრიმეთილ-4-ფენილ-4-პრიპიონოქსი პიპერიდინი)
და

ამ სიის ნარკოტიკული საშუალებების იზომერები, თუ ისინი არ არიან ამორციხული იმ შეითხვევაში, როცა ასეთი იზომერების არსებობა შესაძლებელია მოცემული, კონკრეტული ქიმიური სენაერთის ჩარჩოში.

ყველა ნარკოტიკულ საშუალებების მარილები, რომლებიც ჩამოთვლილია ამ სიაში რთული ეთერების, მარტივი ეთერების და იზომერების მარილების ჩათვლით, როგორც ეს გათვალისწინებულია ზემოთ, როცა ასეთი მარილების არსებობა შესაძლებელია.

რთული და მარტივი ეთერები იმ ნარკოტიკული საშუალებების, რომლებიც ამ სიაშია მოცემული; თუ ისინი არ ფიგურირებენ სხვა სიაში ყველა შემთხვევაში, როცა ასეთი რთული და მარტივი ეთერების არსებობა შესაძლებელია.

*დექსტრომეტროფანი ((+)-3-მეთოქსი-N-მეთილმორფინანი და დექსტრორფანი ((+)-3-ჰიდროქსი-N-მეთილმორფინანი) სპეციალურად ამოღებულია ამ სიიდან

ნარკოტიკულ საშუალებების ნუსხა, რომელიც შეტანილია სია II-ში

აცეტილდიჰიდროკოდეინი
კოდეინი (3-მეთილმორფინი)
დიჰიდროკოდეინი
ეთილმორფინი (3-ეთილმორფინი)
ნიკოკოდეინი (6-ნიკოტინილკოდეინი)
ნიკოდიკოდეინი (6-ნიკოტინილდიჰიდროკოდეინი)
ნორკოდეინი (N-დიმეთილკოდეინი)
ფოლკოდეინი (მორფოლინილეთილმორფანი)

პროპირამი

(N-(1-მეთილ-2-პიპერიდინოეთილ)-N-2-პირიდინილპროპიონამიდი და

ა) ამ სიის ნარკოტიკული საშუალებების იზომერები, თუ ისინი არ არიან ამორიცხული იმ შემთხვევებში, როცა ასეთი იზომერების არსებობა შესაძლებელია მოცემული კონკრეტული ქიმიური წარმონაქმნის ჩარჩოებში.

ბ) ამ სიაში ჩამოთვლილი ნარკოტიკული საშუალებების მარილები, იზომერების მარილების ჩათვლით, როგორც ზემოთ არის გათვალისწინებული ყველა შემთხვევაში, როცა ასეთი მარილების არსებობა შესაძლებელია.

ნარკოტიკულ საშუალებათა ნუსხა, რომლებიც შეტანილია სია III-ში

პრეპარატები:

აცეტილდიჰიდროკოდინი

კოდეინი

დიჰიდროკოდინი

ეთილმორფინი

ნიკოდიკოდინი

ნორკოდინი

ფოლკოდინი

იმ პირობით, თუ ისინი შეერთებული არიან ერთ ან რამდენიმე ინგრედიენტთან და შეიცავენ არა უმეტეს 100 მგ (0,1 გრ) ნარკოტიკულ საშუალებას, დოზის ერთეულში, არაუმეტეს 2,5% კონცენტრაციის დროს განუცალკევებელ პრეპარატებში.

2. პროპირამის პრეპარატები, რომლებიც შეიცავენ კოკაინს არა უმეტეს 100 მგ (0,1%) პროპირამს დოზის ერთეულზე და შეერთებული არიან ასეთივე რაოდენობა მეთილცელულოზასთან.

3. კოკაინის პრეპარატები, რომლებიც შეიცავენ კოკაინს არა უმეტეს 0,1%-ს (კოკაინფუძეზე გადათვლით) და ოპიუმის ან მორფინის პრეპარატები, რომლებიც შეიცავენ მორფინის არაუმეტეს 0,2%-ს (უწყლო მორფინის ფუძეზე გადათვლით)%

შეერთებული არიან ერთ ან რამდენიმე ინგრედიენტთან ისე, რომ ნარკოტიკული საშუალების მოცემული პრეპარატიდან გამოყოფა შეუძლებელი იყოს; ადვილად განსახორციელებელი წესით ან იმ რაოდენობით, რომელიც წარმადგენს საფრთხეს ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

4. დიფენოქსინის პრეპარატები, რომლებიც შეიცავენ დიფენოქსინის არა უმეტეს 0,5 მგ დოზის ერთეულზე და ატროპინ სულფატის რაოდენობას, ექვივალენტურს არა ნაკლებ დიფენოქსინის დოზის 5%-ს.

5. დიფენოქსილატის პრეპარატები, რომლებიც შეიცავენ დიფენოქსინის დოზის ერთეულზე (ფუძის და ატროპინ სულფატის რაოდენობაზე გადათვლით), ექვივალენტური არა ნაკლებ 1% დიფენოქსილატის დოზისა.

6. Pulvi ipecacuanhae et opii compositus

10% ოპიუმი ფხვნილის სახით

10% იპეკაკუანის ფესვის ფხვნილი, რომელიც კარგად არის შერეული 80% ნებისმიერ ფხვიერ ინგრედიენტთან, რომელიც არ შეიცავს ნარკოტიკულ საშუალებას.

7. პრეპარატები, რომლებიც შედგენილია ამ სიაში მოცემული რომელიმე ფორმულით, აგრეთვე ასეთი პრეპარატების ნარევიები ნებისმიერ ნივთიერებასთან, რომელიც არ შეიცავს ნარკოტიკს.

ნარკოტიკულ საშუალებათა ნუსხა, რომლებიც შეტანილია სია V-ში

აცეტორფინი (3-0- აცეტილტეტრაჰიდრო -7a(ალფა) - (1-ჰიდროქსი - 1-მეთილბუთილ) -6,14-ენდოეთენორიპავინი)

კანაბისი და კანაბისის ფისი

დეზომორფინი (დიჰიდროდეზოქსიმორფინი)

ეტორფინი

(ტეტრაჰიდრო

-7a(ალფა)-(1-ჰიდროქსი-1-მეთილბუთილ)-6,14-ენდოეთენო ორიპავინი)

ჰერონი (დიაცეტილმორფინი)

კეტობემიდონი

(4-მეტა-ჰიდროქსიფენილ-1-მეთილ-4ჰრიპიონილპიპერიდინი)

აგრეთვე ამ სიაში ჩამოთვლილი ყველა ნარკოტიკულ საშუალებათა მარილები იმ შემთხვევაში, როცა ასეთი მარილების წარმოქმნა შესაძლებელია.